პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ოთხშაბათი 16 მარტი № 62 (16799) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ — ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ

ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ — ᲓᲘᲐᲓ ᲘᲣᲒᲘᲚᲔᲡ!

ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲜᲐᲚᲓᲔᲑᲔᲜ

მშენებლებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი ახალ პატრიოტულ თაოსნობას, რომლის მიზანია 1977 წლის თებერვლიდან არ გვყავდეს არცერთი ჩამორჩენილი საწარმო და ისინი პირობას ანაღდებენ, ყოველდღიურ გეგმას 110-115 პროცენტით ასრულებენ.

შეჯიბრების ავანგარდში არიან საყალიბო და მექანიკური საამქროების (უფროსები ა. ღვინჯილია, ს. გელენიძე) კოლექტივები, დამკვრელური შრომის მაგალითს უწევენებენ მებეტონე თ. ბაკაძე, ელექტროშემდუღებელი ო. წითაძე, ზლობინის მეთოდით მომუშავე ის ბრიგადები, რომლებსაც რ. კინწურაშვილი და ვ. აბზიანიძე ხელმძღვანელობენ.

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ალსანიშნავ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს სოხუმის გაერთიანებული ავიასაწარმოს კოლექტივი, რომელმაც გადაჭარბებით გაანაღდა მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის დავალება და ნაკისრი ვალდებულებანი.

ტვირთბრუნვის გეგმა შესრულებულია 104,9 პროცენტით, მგზავრთა გადაყვანისა — 102,3 პროცენტით, ფოსტის გადაზიდვისა — 160 პროცენტით, ამასთან უზრუნველყოფილია ფრენის ნორმალური რეგულირება და უსაფრთხოება.

ავიასაწარმოს წარმატებაში სათანადო წვლილი შეიტანეს იმ სამსახურებმა და უბნებმა, რომლებსაც კომუნისტები რ. ქოიავა, ზ. ხაინდრავა, გ. ქვარცხავა, გ. ზურიკაშვილი, ა. ზაქსი ხელმძღვანელობენ.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). მიმდინარეობს ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები. მეათე ხუთწლედში ეს საწარმო ერთობრივად გაზრდის წარმოების მოცულობას.

საწარმოს რეკონსტრუქციისათვის 2 მილიონ 700 ათასი მანეთია გამოყოფილი. მარტო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს 1 მილიონ 700 ათასი მანეთი მოხმარდება. რეკონსტრუქცია გაისად დამთავრდება. იგი ითვალისწინებს ახალი საამქრო საამქროს აგებას, სადაც დამონტაჟდება უახლესი თანამედროვე მოწყობილობა, შრომის პროცესები ძირითადად მექანიზებულ-ავტომატიზებული იქნება.

კომბინატის რეკონსტრუქციის სამუშაოებს საქართველოს სსრ ხეტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველო ახორციელებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲚᲐᲘᲤᲪᲘᲒᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐᲖᲔ

ᲚᲐᲘᲤᲪᲘᲒᲘ, 15 მარტი. (საკუთარი კორ.). ძლიერი წვიმა და ცივი ქარი, ამ ბოლო დღეებში რომ დაატყდა თავს ლაიფციგს, ვერ არის მაინცდამაინც შესანიშნავი სახელწოდება „საგაზაფხულოსათვის“. აქ მიმდინარე საერთაშორისო ბაზრობას ხომ საგაზაფხულო ბაზრობა ეწოდება მით უმეტეს თბილი და „მზიანია“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალური ექსპოზიციის „მიკროკლიმატი“, ექსპოზიციისა, რომელიც საბჭოთა პავილიონის ტერიტორიაზეა მოთავსებული. გამოფენა მნახველს თვალსაჩინო წარმოდგენას უქმნის იმაზე, თუ როგორ ვითარდება რესპუბლიკა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში.

აქ, გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა საქართველოს სსრ მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია.

საკვლევის კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა: ექსპოზიციამ ბევრ დამთვალიერებელს მისცა შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაეფართოებინა თავისი წარმოდგენა საქართველოზე, როგორც ჩაის და ყურძნის მწარმოებელ ქვეყანაზე. მაგალითად, იმ ექსპონატებს შორის, ლაიფციგში რომ გამოგზავნა საქართველოს 100-მდე საწარმო-ორგანიზაციამ, არის ტრაქტორზე დამონტაჟებული გრძელმანძილიანი დასაწვიმი დანადგარი, უაღლესი ჩაისსაკრეფი მანქანა. სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობს „კომეტა-8“ ტიპის წყალქვეშაფრთიანი გემის მოდელი, მაღალი ძაბვის გარდამქმნელები და სხვა მოწყობილობა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალურ გამოფენაზე მოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, რომელმაც შეაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა, რომ ეს გამოფენა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ექსპოზიცია, ნათლად ასახავს ბრაზილიურულ წარმატებებს, რომელიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

Ი. ᲑᲝᲠᲘᲡᲝᲕᲘ,
Ვ. ᲩᲘᲮᲚᲝᲕᲘ.

ᲕᲘᲧᲝᲗ ᲛᲖᲘᲠᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ!

ᲠᲪᲔᲠᲗᲘᲡᲝ ჩამორჩენილი, არცერთი უდისციპლინო და უპასუხისმგებლო ჩვენ გვერდით; ყოველდღიური გეგმების შესრულება ჩვენი ღირსების საქმედ, შინაგან მოთხოვნად ვაქციოთ! — რუსთაველ მეტალურგთა ეს შარშანდელი თაოსნობა ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საკუთრება გახდა.

დიდია ამ შეჯიბრების ეფექტი: მისი მეოხებით ბევრი ჩამორჩენილი კოლექტივი დაწინაურდა და მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა გადაჭარბებით გაანაღდა. თაოსნათა მაგალითისადმი მუშაობამ მრავალი სიახლე შეიტანა კოლექტივების საქმიანობას, ბევრი ახალი რეზერვი ჩაიყენა წარმოების სამსახურში.

ეს შეჯიბრება კიდევ უფრო მასობრივი, ქმედითი და საჯარო ხდება მეათე ხუთწლედის მეორე წელიწადს. საქართველოს მრეწველობის, შენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მშრომელებმა დიდი პატრიოტული შეგნებით, ახალი ენთუზიაზმით უპასუხეს პარტიისა და მთავრობის მოწოდებას დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, და შარშანდელზე მეტი ახალი ვალდებულებები იკისრეს.

ახლებურად განვითარდა რუსთაველთა თაოსნობაც. იგი სადღეისო მოთხოვნათა შესაბამისად შეივსო და დაკონკრეტდა. ქალაქ ქუთაისის და თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული ორგანიზაციების თაოსნობით ახლა შეჯიბრება გაიშალა იმისათვის, რომ ყოველდღიური, ყოველთვიური დავალებების უთუოდ შესრულება ტრადიციად იქცეს.

ამ შეჯიბრებაში დიდი პატრიოტული შეგნების, პასუხისმგებლობის და დისციპლინის მაგალითს თვით თაოსნები უჩვენებენ. რუსთაველ მეტალურგთა მრავალთასიან კოლექტივში მინიმუმამდე შემცირდა ჩამორჩენილ მუშათა რაოდენობა, ბრიგადების და უბნების ჩამორჩენა კი აქ კარგახანია აღარ იციან; წლევანდელი წლის ორი თვის შედეგებით არცერთი ჩამორჩენილი საწარმო არა მყავდათ ქალაქ ქუთაისს და თბილისის პირველი მაისის რაიონს. თაოსნებმა წლის განვლილ ორ თვეში სამშობლოს მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს.

ამრიგად თაოსნები, მოწინავეები, ნოვატორები თანმიმდევრულად, ღრმად და საფუძვლიანად განაგრძობენ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლას, პრაქტიკული საქმეებით უზრუნველყოფენ მეათე ხუთწლედის მთავარ მოთხოვნას: ვიმუშაოთ რაც შეიძლება უკეთ, ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად, ვიმუშაოთ მაქსიმალური ნაყოფიერებით!

დღეს, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები ენთუზიაზმით ემზადებიან დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩამორჩენილი კოლექტივების დახმარებისადმი შეჯიბრებას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება. იგი საშუალებას გვაძლევს „უფრო ენერგიულად გამოვავლინოთ ხელუხლებელი რეზერვები, უფრო ფართოდ გავავრცელოთ საუკეთესოთა გამოცდილება, დავეხმაროთ ჩამორჩენილებს ჩამორჩენის დაძლევაში“.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ნათლად ჩანს, რომ შეჯიბრებაში პარტია ეფექტიანობის დიდ რეზერვს ხედავს.

ამიტომაც არის, რომ პარტიული ორგანიზაციების ზრუნვით აფართოებენ შეჯიბრებას, ზრდიან მუშაობის ტემპს, წარმოების ნოვატორთა, მოწინავეთა თაოსნობით სულ უფრო მეტი ფარული, აჭარელ გამოუვლინებელი რეზერვი დგება წარმოების სამსახურში, და შედეგიც ჩანს: საქართველოს მრეწველობის მშრომელებმა იანვარ-თებერვალში სამუშაოლის გეგმის გადამეტებით 20 მილიონზე 912 ათასი მანეთის პროდუქცია მისცეს, ამასთან მნიშვნელოვნად გაზარდეს ხარისხისშენიანი პროდუქციის გამოშვება და გააფართოეს წარმოების ასორტიმენტი.

ეს კარგი, მაგრამ განვლილი ორი თვის შედეგები იმასაც გვიჩვენებს, რომ ბევრგან შეჯიბრებას — არცერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით! — ფორმალურად ეკიდებიან, ინიციატორებს ვერ უქმნიან შუშობის სათანადო პირობებს, რომ სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. წარმოების ყველა რგოლში, ყველა უბანზე როდია შესწავლილი და აღრიცხული ასამოქმედებელი რეზერვები, ხუსტია ვალდებულებათა შესრულების კონტროლი, არაეფექტურია შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებანი.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროების და უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, მშენებლობების ხელმძღვანელები კი ამ ნაკლოვანებებს ურიგდებიან. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ იანვარ-თებერვლის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ვერ შესრულა რესპუბლიკის 103 საწარმომ, ანუ 15,7 პროცენტმა, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება — 84 საწარმოო კოლექტივმა, ანუ 11,9 პროცენტმა. მათ გეგმების შესრულებას შესაბამისად 8 მილიონ 35 ათასი და 6 მილიონ 263 ათასი მანეთი დააკლეს.

პროდუქციის გამოშვების დავალებები ვერ შეასრულეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს 10 და ხორცისა და ძროხის მრეწველობის სამინისტროს 11 კოლექტივმა, რომლებმაც გეგმას 2,4 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლეს. ჩამორჩენილთა შორის არიან საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს 6, მშენებლობის სამინისტროს 6, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 4, საქსოფლტექნიკის გაერთიანების 5, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს 3 საწარმოს კოლექტივები.

ორი თვის გეგმები ვერ შეასრულეს მეტეხის, რუსთავის, საგარეჯოს საშენ მასალათა კომბინატების, ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის, სამტრედიის აბრეშუმსაგრეხი ფაბრიკის, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის, თბილისის და ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო ფაბრიკების, ბათუმის, თელავის, წითელწყაროს ხორცკომბინატების და სხვათა კოლექტივებმა.

ეს ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა შეასუსტეს ყურადღება და წლის დასაწყისიდანვე განსაკუთრებული კონტროლი ვერ დააწესეს იმ უბნებსა და კოლექტივებზე, სადაც ამთავითვე სიძნელეებმა იჩინა თავი.

როგორც ჩანს, მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგანან ჩამორჩენილი საწარმოების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებიც, რომლებმაც ვერ შეძლეს აღმოეფხვრათ ფორმალიზმი შეჯიბრებაში, ვერ მიაღწიეს იმას, რომ ყოველმა მუშამ იცოდეს თავისი კონკრეტული ვალდებულება, თავისი პირადი წვლილი, რომელიც საერთო საქმეში უნდა შეიტანონ. ისინი სათანადო ყურადღებას ვერ უთმობენ დამრიგებლობის, ნოვატორ მუშათა ახალგაზდებზე შეფობის მნიშვნელობას, რაც ჩამორჩენილთა დაწინაურების მნიშვნელოვანი რეზერვია.

საქართველოს მრეწველობის კოლექტივებში ახლა თანდათან ვრცელდება ქუთაისის და თბილისის პირველი მაისის რაიონების მშრომელთა პატრიოტული თაოსნობა, რომ 1977 წლის თებერვლიდან იმუშაონ ჩამორჩენის გარეშე, უზრუნველყონ, რომ თვითეული შრომითი კოლექტივი ყოველდღიურ დავალებებს უთუოდ გადაჭარბებით ასრულებდეს.

ეს დიდი პატრიოტული ვალდებულებაა და მისი შესრულება თვითეული მშრომელის შესაძლებლობათა დაძაბვას მოითხოვს. ამიტომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან განუხრელად შეუწყონ ხელი ამ სასარგებლო თაოსნობის გავრცელებას, მისი ყოველი მოთხოვნის უთუოდ შესრულების ყველა პირობა შეუქმნან შეჯიბრების მონაწილეებს.

სწორად იქცევიან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ჭიათურის სამთამადნო კომბინატის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნისა და სხვათა კოლექტივები. ისინი ყოველდღიურად, ყოველთვიურად აჯამებენ შეჯიბრების შედეგებს, ასახელებენ გამარჯვებულებსაც და ჩამორჩენილებსაც, ამასთან არ ივიწყებენ ჩამორჩენილთა დახმარებას.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡ ᲩᲐᲕᲐᲧᲠᲔᲚᲝᲗ ᲮᲣᲗᲘᲗᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲨᲘ! ᲛᲣᲓᲐᲛ ᲒᲐᲮᲐᲚᲘᲡᲛᲬᲘᲓᲔᲡ ᲡᲐᲘᲝᲜᲘᲠᲘᲡᲐᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲧᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲡᲪᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲔ�გᲛᲔᲑᲘᲡ ᲣᲗᲣᲝ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲓ, ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲓ ᲕᲘᲧᲝᲗ ᲛᲖᲘᲠᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ! — ᲔᲡ ᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲓ ᲒᲐᲥᲪᲘᲝᲗ, ᲕᲘᲧᲝᲗ ᲛᲖᲘᲠᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ! — ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲜᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲚᲘᲜᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗ.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ XVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ

ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔ

ᲧᲘᲒᲘᲣᲚᲘᲡ ორჯონიკიძის სახელობის შახტში სახელი გაითქვა გვირაბგამყვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი სერგო ბოჭორიშვილი ხელმძღვანელობს. წარმატებით შეასრულეს რა ხუთწლედის პირველი წელი, მეშახტეებმა გეგმის გადაჭარბებით 39 გრძივი მეტრი გვირაბი გაბურღეს. წლეულს განვლილი ორი თვის მანძილზე მათ ანგარიშზეა უკვე შვიდი გრძივი მეტრი გვირაბი, რომელიც დავალების გადამეტებით არის გაყვანილი.

ორი ათეული წელია წარმატებით შრომობს ამ შახტში სერგო ბოჭორიშვილი. იგი არა მარტო უნარიანად ხელმძღვანელობს ბრიგადას, არამედ დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა: ტყიბულის საქალაქო საბჭოს დუპატატი, შახტის პარტიული ბიუროს წევრი, სამზადი უბნის პროფჯუფორგია.

წარჩინებული მეშახტე სერგო ბოჭორიშვილი არჩეულია სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობის დელეგატად.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის გვირაბგამყვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი კომუნისტი სერგო ბოჭორიშვილი (მარჯვნიდან მეორე) ესაუბრება ბრიგადის წევრებს (მარცხნიდან) ნ. ნოსელიძეს, ა. უჩაძესა და ს. კბილაძეს.

ბ. ᲑᲔᲠᲡᲐᲛᲘᲡᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ“ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. „კიროვის ავტოქარხნის“ საწარმოო გაერთიანებამ გააჩალა სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვალდებულება იკისრა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად რამდენიმე ასეული ათასი მანეთის გადაჭარბებით შეასრულოს პროდუქციის რეალიზაციის ათი თვის პროგრამა, დავალების დამატებით გამოუშვას 25 ტრაქტორი „კიროვეც“ კ-701 და 2.000 ტონა ხარისხული ნაგლინი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: „კიროვეც“ კ-701 ტრაქტორების გადატვირთვა.

Ლ. ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲘᲡ ფოტო (საკინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

15 მარტს სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ს. ჩაგლაიანგილმა მოლაპარაკება დაამთავრეს. მეგობრულ, კეთილმეზობლურ ვითარებაში განხილეს საბჭოთა კავშირ-თურქეთის ორმხრივი ურთიერთობის საკითხები და ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა.

იმავე დღეს გაიმართა საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივი დოკუმენტების ხელმოწერა: ხელი მოაწერეს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შეთანხმებას, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმებას და სამოქალაქო საჰაერო ხომალდების გატაცების თავიდან აცილებისათვის თანამშრომლობის შეთანხმებას.

დოკუმენტებს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის მხრივ — ა. ა. გრომიკომ, თურქეთის მხრივ — ი. ს. ჩაგლაიანგილმა. (საკდესი).

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

ᲢᲐᲜᲖᲐᲜᲘᲘᲡ პრეზიდენტის ჯ. ნიერერეს მიწვევით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი 1977 წლის მარტის მეორე ნახევარში ოფიციალური ვიზიტით ჩავა ტანზანიის გაერთიანებულ რესპუბლიკაში. (საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲮᲚᲝᲛᲐ

14 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელსაც 1976 წლის 8 ოქტომბერს მოაწერეს ხელი მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც კრემლში მიმდინარეობდა, გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ.

საბჭოთა მთავრობის სახელით მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

მან ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი ხალხებისა და სახელმწიფოების ურთიერთობაში. საბჭოთა კავშირისა და ანგოლის ხალხთა ნამდვილ მეგობრობისა და თანამშრომლობას, თქვა მან, საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ გმირული ბრძოლის წლებში, რომელსაც ანგოლელი პატრიოტები აწარმოებდნენ კოლონიური უღლისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის. იმ წლებში, ანგოლელ ხალხისათვის მძიმე განსაცდელის წლებში, ისევე როგორც ღღეს, საბჭოთა კავშირი იყო და არის მისი საიმედო დასაყრდენი. და ანგოლელი ხალხი აფასებს ამას. „ანგოლელი ხალხის მხარეზეა ტყვე, სხვა მომბე სოციალისტური ქვეყნები, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი.

ღღეს ერთხელ კიდევ უნდა შეგახსენოთ სიტყვები, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა 1976 წლის 7 ოქტომბერს ანგოლის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე: „...ჩვენ არა გვაქვს და არც „ეიძლება რაიმე „განსაკუთრებული ინტერესები“ გვქონდეს აფრიკის არც სამხრეთში, არც ჩრდილოეთში, არც რომელიმე სხვა ნაწილში, ჩვენ იქ არავითარ სარგებლობას არ ვეძებთ. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ცნონ თვითეული ხალხის წმიდათა წმიდა უფლება თვითონ განაგებდეს საკუთარ ბედს, ირჩევდეს განვითარების საკუთარ გზას. ეს ჩვენი უცვლელი პრინციპია, რომელსაც ჩვენი პარტია, საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ გადაუხვევენ“. და ეს პრინციპი სავსებით აისახა ხელშეკრულებაში.

იგი ამკვიდრებს თანასწორუფლებიანობას, ერთმანეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას და ამით შეესაბამება საბჭოთა და ანგოლელი ხალხების ძირეულ, ხანგრძლივ ინტერესებს. ამ ხელშეკრულებას დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ასპექტები აქვს, რომლებიც სავალდებულოა ურთიერთ ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს. იგი გამსჭვალულია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის ზრუნვით. ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წარუდგინა დასამტკიცებლად უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული საგარეოპოლიტიკური კურსის, თანამებრძოლ მეგობრებთან ინტერნაციონალისტური სოლიდარობის მკაფიო მაგალითია.

ა. ა. გრომიკომ გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დამტკიცებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგარეო საქმეთა კომისიების სახელით ინფორმაცია გააკეთა ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა.

ხელშეკრულება, თქვა მან, ასახავს პრინციპებს, რომლებითაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ხელმძღვანელობენ განთავისუფლებული ქვეყნების მიმართ, პრინციპებს, რომლებიც ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე. ეს დოკუმენტი დიდმნიშვნელოვანი წვლილია იმ პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებაში, რომელიც მიზნად გვიასახავს შემდგომ ბრძოლას მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, და რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობისადმი.

სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადება, ხაზგასმით აღინიშნა ბ. ნ. პონომარიოვმა, კანონზომიერი შედეგია საბჭოთა კავშირ-ანგოლის მეგობრობისა, რომელიც ვითარდება და მტკიცდება მშვიდობის, თავისუფლების, სოციალური პროგრესისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეალებისადმი ორი ქვეყნის ერთგულების მკვიდრ საფუძველზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები შეუდგნენ ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის განხილვას.

ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. ი. სტრაუტმანისმა, ერალს საავტომობილო ქარხნის

(დასასრული მე-3 გვერდზე).

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ იზრდება, ახალგაზრდავდება ჩვენი ქალაქები. მათი შემდგომი განვითარება სკკპ XXV ყრილობის მიერ მიღებული მეათე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიური პროგრამის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სპბინაო მშენებლობის გაქანება ჩვენში უაღრესად დიდია. ყოველწლიურად უკანასკნელ ხანს ახალმოსახლეობის ზეიმობს დაახლოებით 11 მილიონი საბჭოთა ადამიანი, ყველგან მწყობრში დგება სკოლები, საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები, კლუბები, კინოთეატრები. უმჯობესდება ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაობა.

ქალაქის ცხოვრების მაჯისცემა, წერს გაზეთი მეთაურში „საბჭო და ქალაქი“, — მოსახლეობის მომსახურების ხარისხი ბევრად განისაზღვრება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების — სახელმწიფო ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის დონით. გამოხატავენ რა მშრომელთა ნებას, ინტერესებსა და მისწრაფებებს, ისინი მოქმედებენ ინიციატივიანად, უნარიანად იყენებენ თავიანთ დიდ უფლებებსა და გამოყოფილ სახსრებს რთული საქალაქო მეურნეობის ყველა რგოლის სრულყოფისათვის.

**გაზაფხულს ქალაქებისათვის მუდამ ბევრი საზრუნავი მოაქვს. ახლა ყველგან ემზადებიან ამისათვის, რომ მოაწესრიგონ ქუჩები და მოედნები, ეზოები და პარკები, განახორციელონ კეთილმოწყობის სამუშაოები. ბევრი

ყალბისმქმნელები

მთავარმომარაგების კომუნისტები ნამდვილი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში

პარტიული ქრონიკა

ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის

მახარაძე. (საკ. კორ.). ამას წინათ ქ. მახარაძის ქვების მრეწველობის ტექნიკუმის სხდომათა დარბაზში საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომმა მოაწყო იკონომიკური კონფერენცია თემაზე: „მეათე ხუთწლიანი გეგმა პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა კონკრეტული განხორციელებაა“.

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარების ორიენტირია“ — ასეთი იყო ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკის ვ. ბერიკაძის მოხსენების თემა. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ყაზაშვილმა გააშუქა საკითხი — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმი სოფლის მეურნეობაში წარმოების ფეოქტიანობის ამაღლების პრობლემების არსისა და გზების შესახებ“. მეათე ხუთწლედში რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებზე მსმენელებს ესაუბრა სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი ჯ. მახარაძე, მეათე ხუთწლედში მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ — მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ზაქარიაძე.

ბ. ჩხაიძე.

□

თეორიულ კონფერენციაზე

საჩხერე. ამ დღეებში პარტიის საჩხერის რაიკომმა თეორიული კონფერენცია მიუძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მასალების შესწავლას. კონფერენციას დაესწრნენ პარტიული. საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო აქტივი, სახალხო კონტროლის წარმომადგენლები.

მოხსენებები თემებზე: „ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა“, „დისიპლინის განმტკიცება. ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა მეათე ხუთწლეულის დაჩქარებათა შესრულების აუცილებელი პირობაა“. „საქართველოს სსრ საზოგადოებრივი მეცხოველეობის თანამედროვე დონე და მისი განვითარების ამოცანები“—გააკეთეს რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ ჯ. მაჩაიძემ, რაიონის სახალხო მოსამართლემ ო. მოდებაძემ და რაიონის მთავარმა ვეტექიმმა ე. ტალახაძემ.

მომხსენებლებმა უპასუხეს კონფერენციის მონაწილეთა შეკითხვებს.

ა. მაჭარაშვილი.

□

საინტერესო დისპუტი

თელავი. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა, პარტიის თელავის რაიკომმა, კომკავშირის რაიკომმა და გაზეთ „ალაზნის განთიადის“ რედაქციამ თელავის წინდის ფაბრიკაში მოაწყეს დისპუტი თემაზე „პირადი, საზოგადოებრივი ინტერესები და ბედნიერება“.

გაიმართა გულახდილი საუბარი. საკითხებზე — „პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები, მათი ურთიერთკავშირი“, „რა არის ადამიანის ჰეშმარიტი ბედნიერების არსი?“. „მავნე წეს-ჩვეულებები და როგორ ვიბრძვით მათ წინააღმდეგ“ — დამსწრეთ მოუთხრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის წარმომადგენლებმა ჯ. ბაბილაშვილმა და ს. ნოსაძემ, პარტიის თელავის რაიკომის მდივანმა დ. აბაშიძემ, ფაბრიკის მუშაკებმა ლ. სკანაძემ, მ. აბაშიძემ, თ. ომნაძემ, დ. ბატიაშვილმა, აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი თაბრიკის მუშებმა ნ. ვაყელაშვილმა და თ. შაშვიაშვილმა, სამკერვალო თაბრიკის მუშებმა ე. არაბულმა, ნ. ყორაშვილმა, ლ. მანუჩარიანმა და სხვებმა.

ა. თვალიაშვილი.

□

დაიწყო საოქტომბრო კითხვა

ონი. (საკ. კორ.). პარტიის ონის რაიკომის ინიციატივით აქ დაიწყო საოქტომბრო კითხვა, რომელიც ნოემბრამდე გაგრძელდება. იგი ყოველი თვის მესამე ხუთშაბათს ეწყობა.

საოქტომბრო კითხვის პირველ დღეს პარტიულმა და კომკავშირულმა აქტივისტებმა მოისმინეს პარტიის ონის რაიკომის პირველი მდივნის ო. დოლიძის მოხსენება თემაზე — „ოქტომბერი და საქართველო“.

პარტიის რაიკომის წევრები პოლიტიკური მოხსენებებით გამოვლენ. მათი მოხსენებების თემები იქნება: „საბჭოთა ხელისუფლებისა და ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება“, „საბჭოთა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის აყვავება“, „რევოლუციონერთა ცხოვრება და მოღვაწეობა“.

ამ წერილის დაწერის წინ რესპუბლიკის მთავარმომარაგების უფროსს ალექსანდრე ბუაძეს და მის მოადგილეს ზურაბ საჩკოვს შეეხვედით. საუბარი კოლეგიის არც ისე დიდი ხნის წინათ ჩატარებული სხდომის მიმდინარეობასა და მის შედეგებს შეეხო.

— კოლეგიამ, რომელიც ჩვენი სისტემის ზოგიერთი მუშაკის უდისციპლინობასა და დანაშაულს იხილავდა, მართლაც რომ დაძაბული, მაგრამ საქმიანი ჩაიარა, — გვითხრა ა. ბუაძემ. — ვფიქრობ, ორნისძეებები, რომლებიც მაშინ დაესახეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შარშან ივლისში მიღებული დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლის განგრძობაა. ეს დადგენილება კი, როგორც მოგახსენებთ, მთავარმომარაგებ ბაში შეეოწყნარებელ მდგომარეობას, მისი ხელმძღვანელობის მუშობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს და ამის გამო სოციალისტური საკუთრების დიდი ფატაცებისა და სხვა ბოროტმოქმედებათა ფაქტებს შეეხებოდა. და ახლა ერთხელ კიდევ თვალნათლივ ვრწმუნდებით ამ დროულ და უაღრესად საჭირო ღონისძიებების აუცილებლობაში, იმ ძარღვის სიკეთეში. რაც საერთო საქმეს უკვე ეტყობა. მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ როდი [illegible] დამშვიდების უფლება. ამას ი ის ფაქტებიც ადასტურებს, რომელთა შესახებაც კოლეგიაზე გვქონდა სჯა-ბაასი.

— ძველ და ძველ, უკვე მერამდენედ, — ჩაერია საუბარში ზ. საჩკოვი, — გვიფიქრია ბრძოლა და მკაცრი ღონისძიებების განხორციელება მავნე დანაშაურების მოსაცილებლად, მანიერებისა და ნაკლოვანებების, უწესრიგობისა და უდისციპლინობის, უპრინციპობისა და პოლიტიკური უზრუნველობის აღმოსაფხვრელად.

ზ. საჩკოვმა კარადიან ფაქიზად შეკრული საქმეები გადმოიღო და დაწვრილებით გააკეთა კოლეგიის სხდომის ოქმი, ყურადღებითა და ბეჯითად შედგენილი დოკუმენტები, მოხსენებითი ბარათები, ჩვენებები და სხვა საბუთები, რომლებიც ნათელს ჰფენს უდისციპლინობის. უპასუხისმგებლობის, დანაშაულობების, სახელმწიფოს მოტყუების ფაქტებს.

— კოლეგიის მსჯელობის პირველი საკითხი, — თქვა მან, — ჩვენი სისტემის ამოქმედ უკვე ყოფილი მუშაკების სამართლებრივი საქციელს შეეხებოდა. აი რა მოხდა:

ოპერატიული ცნობა, რომელიც მთავარმომარაგების ხელმძღვანელობამ მიიღო, მართლაც რომ საგანგაშო და უაღრესად სამწუხარო ფაქტს შეეცავდა. ცნობაში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ მთავარმომარაგების სისტემის მუშაკებმა — საქმეტუყეადალდმომარაგება-ვასილის სამმართველოს უფროსის მოადგილემ თ. მეტრეველმა, ამავე სამმართველოს უფროსმა ინჟინერმა გ. ბახტაძემ. თბილისის ხეტყეყიდვალდის ბაზის დირექტორმა ნ. მამალაძემ და ამავე ბაზის მუშაკმა ჯ. ბერიანიძემ უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, იხეტიალნენ, არ დაემორჩილნენ მართლწესრიგის ორგანოთა წარმომადგენლებს და პირიქით, სიტყვიერი, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მათ.

საქმის ვითარების შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ეს მუშაკები თავიანთი მეგობრის — თბილისის ხეტყეყიდვალდის ბაზის დირექტორის მოადგილის გ. ბაბუნაის მიწვევით ბათუმს გაემგზავრნენ. მერე ღლე საქაოდ შექეიფიანებულნი და შეზარხოშებულნი მატარებლით დედაქალაქში ბრუნდებოდნენ. ვაგონში უკვე ყველს ეძინა. მაგრამ არ ეძინათ მათ — კუპეში ფუნჯი კარტის თამაში გაეჩაღებინა. მატარებელი სუფსის სადგურს რომ გამოცდა, კუპესა და დერეფანში ატეხილმა აურზაურმა, ჩხუბმა და ალიაქოთმა მთელი ვაგონი ფეხზე დააყენა. მგზავრები ნამდვილი ხელჩართული ჩხუბის მოწმენი გახდნენ.

ამ დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით კუპესთან ოპერატიული ჯგუფის წევრებმა ა. ზაქარიაძემ და ი. ლომიძემ გაიარეს. მათ შეამჩნიეს, რომ მგზავრები კარტს თამაშობდნენ. მაგიდაზე ფუნჯიც ბლომად ეწყო და, სავსებით კანონიერია, აზარტული თამაშის შეწყვეტა და სიწყნარე მოითხოვეს, ეს კი ძაბიეებმა იუკადრისეს. ერთი სიტყვით, კანონიერი მოთხოვნა კამათისა და შეხლა-შემოხლის საბაბი გახდა, რის შედეგადაც წესრიგის დამცველებს ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

სამტრედიაში საპირო შეიქმნა საქმეში სატრანსპორტო მილიციის მუშაკები ჩარეულიყვნენ. მაგრამ ვათავხედებული ამფსონები არც აქაურ მილიციას დაემორჩილნენ და პირიქით ოპერატიული ჯგუფის წევრებს ცალი დაუშვეს...

ცხადია, ეს მოკლე ამონაწერი იმ დოკუმენტიდან, რომელიც კოლეგიის სხდომის მონაწილეებს გააცნეს, სრულებითაც ვერ გვიქმნის ამ ადამიანთა უკეთურ საქციელზე, საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევის ფაქტებზე სრულ წარმოდგენას. საქმე უფრო რთული და სერიოზული იყო, ვითარება კი — დაძაბული.

ალბათ ბათუმ-თბილისის მატარებლის ამ ვაგონის მაშინდელ მგზავრებს ახსოვდეს დაავიწყდებათ თვითონ ბათუმსა და ქ. ლენინთ, აზარტული თამაშით აგზნებულთა და ყოველგვარ ნორმას გადასულთა ქცევა. უხამსი, ეზღვიერული გამოხდომები, ხულიგნობა და დანაშაული — წესრიგის დამცველთა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

აი როგორი დასკვნები გააკეთა მთავარმომარაგების ზოგიერთმა მუშაკმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

მაგრამ, როგორც კოლეგიის წევრები — მთავარმომარაგების უფროსი ა. ბუაძე, მისი მოადგილეები ი. ქვილითაია, ზ. საჩკოვი, პარტბიუროს მდივანი ლ. ჯიქურიძე და სხვები აღნიშნავდნენ, საქმეუხარო უფრო ის არის, რომ მეტრეველი და მამალაძე კომუნისტები არიან. და საერთოდ ყველა მათგანს სოლიდური ასაკი და მუშობის საკმაო სტაჟი აქვს. ასე რომ, ისინი არც საზოგადოებაში მოქცევის ელემენტარულ წესებს და არც ზნეობრივ ნორმებს არ უნდა არღვევდნენ.

მთავარმომარაგების სისტემაში წლების მანძილზე დამკვიდრებულმა განუკითხობამ, მუშაკთა პასუხისმგებლობის დაქვეითებამ, შემრიგებლობამ და უპრინციპობამ, რასაც ადრინდელი ხელმძღვანელები უწყობდნენ ხელს, ზოგიერთები ჩვენი ეხოვრების წესებს, ადამიანებთან წესიერ ურთიერთობას, საზოგადოებისადმი, კანონებისადმი პატივისცემას, და გულახდილად რომ ვთქვათ, თვით ზრდილობასაც კი გადაეჩვია. ყოველივე ამან ეს ადამიანები ასეთ ანტისაზოგადოებრივ მოქმედებამდე, დანაშაულობამდეც კი მიიყვანა.

კოლეგიაზე ისიც ითქვა, რომ კადრების შერჩევის პარტიული პრინციპის დარღვევამ, პარტიის თბილისის ორგანიზაციის საქარხნო რაიკომის ზოგიერთი მუშაკის სიფხიზლის მოდუნებამ საშუალება მისცა სხვა სამუშაოზე თავშერეტვენილ ნ. მამალაძეს მოეხერხებინა ხეტყეყიდვალდის ბაზის დირექტორი გამხდარიყო.

უთუოდ აღსანიშნავია, რომ კოლეგიამ მართებული და მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო, ფაქტებს შესაფერისი შეფასება მისცა, დამნაშავეებს საკადრისი მიუზღო და მომავლისათვის გონივრული რეკომენდაციები შეიმუშავა. თ. მეტრეველი, ნ. მამალაძე, ჯ. ბახტაძე, გ. გაბუნია, ჯ. ბერიანიძე კათამაშისუფლა თანამდებობიდან, საქარხნო რაიკომის ბიუროს კი ნ. მამალაძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადა. კოლეგიის გადაწყვეტილებას მთავარმომარაგების მთელი სისტემის დარეგიონური სამმართველოების, ტრესტებისა და კანტორების კოლექტივებში მუშამოსამსახურეთა საერთო კრებებზე განიხილავენ, მსჯელობენ, სახავენ ღონისძიებებს სახელმწიფო, შრომის, საწარმოო დისციპლინის განსამტკიცებლად, ყველგან და ყველაფერში წესრიგის დასამყარებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივლისის დადგენილებაში, რომელიც მთავარმომარაგების მუშობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს შეეხება, ნათქვამია:

„მთავარმომარაგების სისტემაში ჯეროვანი წესრიგი არ არის აღრიცხვასა და ანგარიშებში, ცუდად მუშაობს საკონტროლო-სარევიზიო სამსახური. მთავარმომარაგების ხელმძღვანელობა არათუ არ ებრძოდა დარღვევებსა და ბოროტმოქმედებას. არამედ ზოგჯერ თვითონაც უწყობდა ხელს“.

დიახ, ყოველივე ამას ერთხელ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სასუქების საწყობების მშენებლობას, რესპუბლიკაში შემოზიდული სასუქების ნახევარზე მეტი უგარგის საწყობებში, ან ფარდულებში ინახება.

რესპუბლიკაში თითქმის არ მოიპოვება სრულყოფილი მექანიზებული საწყობი. არა გვაქვს შექმნილი სრულყოფილად ჩამოყალიბებული საჭვენებელი ქიმიზაციის ცენტრი; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სასუქების ხარისხის შემოწმებას და მის რეკლამაციას; ადგილი აქვს წონაში მოტყუების ფაქტებსაც; უხეშად ირღვევა მეურნეობებში სასუქების შემოზიდვის გადები და მისი რაოდენობა.

კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ხშირად არ იყენებენ აგროქიმიურ კარტოგრამებს, სასუქები შეიტან ბრმად, დოზების გათვალისწინებლად. ყურადღება არ ექცევა აგროქიმიური მომსახურების ცოდნის პროპაგანდას; სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგში არ არის გაჩხრეკილებული შრომის მეცნიერული ორგანიზაცია.

სრული წესრიგი უნდა დამყარდეს სასუქების დაგებვის, მისი დროზე მიღების, მეურნეობებში შეზიდვის, ტრანსპორტირების და მის რაციონალურად გამოყენების საქმეში.

ი. სარიშვილი,
პროფესორი.

ფერმა — ყურადღების ცენტრში

რედაქციას ატყობინებენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე.

ბაზეთ „კომუნისტის“ 2 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა სარედაქციო წერილი „ზამთარი მეცხოველეთა მკაცრი შემმოწმებელია“. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე გვატყობინებს:

რეიდის მასალებში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და სოფლის მეურნეობის რაიონულმა სამმართველოებმა შეისწავლეს რეიდის მასალებში აღნიშნული ნაკლოვანებანი. პირუტყვის გამოზამთრების მომდინარეობას ყველა რაიონში მიეძღვნა თათბირები, დასახული ღონისძიებების შედეგად რეიდში მოყვანილი ნაკლოვანებების უმრავლესობა გამოსწორებული და მოგვარებულია. ამაზე მეტყველებს ის, რომ მეათე ხუთწლეულის მეორე წლის ორი თვე კარგი მაჩვენებლებით დამთავრდა. მაგალითად, მომდინარე წლის 2 თვეში ხელვაჩაურის რაიონის აჭარისწყლის კოლმეურნეობაში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რძის წარმოება 49 ცენტნერით გადიდდა, ხოლო ერთი საფურაჟე ძროხის წველადობა 21 კილოგრამით, ამავე რაიონის კირნათის კოლმეურნეობაში შესაბამისად — 23 ცენტნერით და 18 კილოგრამით, ხოლო სანაშენე საბჭოთა მეურნეობაში — 113 ცენტნერითა და 76 კილოგრამით. განთიადის კოლმეურნეობაში უნაყოფო ძროხები შეიცვალა ჯიშიანი უშობლებით.

ქობულეთის რაიონის დაგვან კოლმეურნეობამ კაპარონის, აკრილანის, ელასტიკის, ვისკოზის მიღების გაბაწესებს. მაღაზიები თითოეული ნართის ამისათვის ყიდულობდნენ, რომ მიეყიდნენ [illegible] წარმოებისათვის, რომელ[illegible] ნართი სჭირდებოდათ. სანამდვილეში კი ყველაფერ[illegible] ნაირად ხდებოდა: [illegible] თან, რომლებსაც ნართი სჭირდებოდათ, დებდნენ შინაურულ ვარიგებებს. ამით ისა თუ ის საწარმო იღებდა იმავე თანხის სხვა მატერიალურ თანეულობას. ხოლო რაც შეეხება კაპრონს, ვისკოზას, აკრილანსა და ელასტიკს, ეს საქონელი, როგორც იტყვიან ხოლმე, „მარცხნივ“ მიდიოდა.

და ასეთი ყალთაბანდობით ორგანიზაციებს, რომლებიც მას ყიდულობდნენ, შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეშვათ აღიარებული ბაკი პროდუქცია. ამ გზით პირველ ხანებში დატაცებულ იქნა 66 ტონა დეფიციტური ნართი.

მაგრამ ყოველთვის როდი იყო საკმარისი და აღრიდიული ძალის მქონე გაბუნებზე მარტო სხირტლაძის ხელმოწერა. საჭირო შეიქნა უფრო ავტორიტეტული პიროვნების ხელმოწერით გაბნწესების კანონიერ დოკუმენტად აღიარება. ეს ოპერაცია არც თუ ისე ძნელი აღმოჩნდა, — მთავარმომარაგების უფროსის პირველ მოადგილესთან ნ. ღოღობერიძესთან ხომ ყოველდღიურად შეჰქონდათ დოკუმენტები ხელმოსაწერად.

და აი ეს მომენტიც კარგად გამოიყენეს სხირტლაძემ და მისმა თანამოსაქმეებმა. თავისთავად თვით ნ. ღოღობერიძეც ისე თვალდახუჭულად და უკონტროლოდ აწერდა ხელს ყალბ განწესებს, რომ ბოროტმოქმედნი მორეგვნი ადადებული ორგულებივით გრძნობდნენ თავს.

სავსებით ბუნებრივია, ყოველივე ამას კვლავ სერიოზული დანაშაული მოჰყვა. იმ ექვსი განწესიდან, რომლებითაც № 1 მაღაზიაში სარეალიზაციოდ შეიმოზიდეს 28.500 კილოგრამი ნართი, ხუთ განწესს უფროსის პირველი მოადგილე ნ. ღოღობერიძე აწერს ხელს. ამით მან სანქცია მისცა 24.000 კილოგრამი ნართის უკანონო მიღებას. რაც შეეხება სპეკტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მაღაზიას, აქ ორი განწესით 10.200 კილოგრამი ნართი მიიღეს და კიდეც დატაცეს. ერთი სიტყვით, სავაჭრო ორგანიზაციებს ნ. ღ[illegible] ხელმოწერით 34.600 კილოგ[illegible] [illegible] ფულად [illegible] ციის და ჩაბარებელ.

[illegible] ნ. ღ[illegible] ძლევენელ მუშაკთა უკონტროლობას, ნამდვილი უპასუხისმგებლობა ხელმოშვებულობას და გულგრილობას მოჰყვა. კოლეგიის გადაწყვეტილებით ნ. ღოღობერიძე მოიხსნა თანამდებობიდან.

როგორია საერთო დასკვნა?

პირველი: მთავარმომარაგების კოლეგიამ ჯანსაღად და სწორად შეაფასა სისტემაში არსებული მდგომარეობა და თანმიმდევრულად სახავს ღონისძიებებს მუშობის გარდასაქმნელად, გამნმაწესებელი და მაცოცხლებელი მდინარეების გასაძლიერებლად. ჩანს, რომ კოლეგია, მთავარმომარაგების ბევრი კომუნისტი მთელი სერიოზულობით [illegible] კიდევ იმ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის განხორციელებას, რომელიც მთავარმომარაგების მუშაკებს [illegible] ობის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა.

მეორე: ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის და მასში მოცემული ამოცანების ხორცშესხმისათვის ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა გაიჩაღეს პირველ რიგში იმათ, რომლებსაც სამართლო მეურნეობის ამ დარგის ხელმძღვანელობა ანდეს. ამ დროებამ, მონდომებამ, შემართებამ [illegible] რომ დიდი ენერგია [illegible] [illegible] ეტაბა საქმეს. [illegible] ფერმის [illegible] ბა, სადაც [illegible] ანაკელი ორმოც აშენდება.

ქედის რაიონის დოღლოგნის კოლმეურნეობაში 1976 წელს გეგმით გათვალისწინებულ 31.500 კილოგრამის ნაცვლად მოწველეს 34.950 კილოგრამ რძე, რაც გეგმაზე 3.450 კილოგრამით მეტია, მაგრამ წინა წლის მაჩვენებელს 3.750 კილოგრამით ჩამორჩება.

წლეულანდელი წლის ორ თვეში აჭარის ასს რესპუბლიკაში მოწველილია 14.498 ცენტნერი რძე, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.339 ცენტნერით მეტი, ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 183 კილოგრამი რძე, რაც 16 კილოგრამით მეტია შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით.

მივიწყეებული თემები

ახლო წარსულში ჩვენი რესპუბლიკის მთიანი რაიონების ეკონომიკა და კულტურის განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩა. დღეს წესრიგში დადგა პრობლემა—რაც შეიძლება დაჩქარებული ტემპით განვითარდეს მთის ეკონომიკური პოტენციალი, გაუმჯობესდეს მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. სწორედ ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილებანი, მთავრობამ კი გამოაყო უზარმაზარი სახსრები და საშუალებანი მთიან რაიონების, სახალხო მეურნეობის დარგების სწრაფი განვითარებისათვის.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი საზრუნავი გაუჩნდა ამ რაიონების გაზეთებს. მათი ამოცანაა ისე მოაწყონ მუშაობა, რომ ნაყოფიერად დაეხმარონ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, კულტურისა და მომსახურების სფეროს მუშაკებს ჩამორჩენილი დარგების დაწინაურებაში, რეზერვების გამოვლინებასა და ამოქმედებაში, პარტიისა და მთავრობის მიზანდასახულობათა ხორცშესხმაში.

ამბოლოურის რაიონულმა გაზეთმა **„კომუნიზმის დროშამ“** (რედაქტორი ვ. სოხაძე) შემოიღო ბევრი საინტერესო რუბრიკა, რომლებითაც შუქდება რაიონის მშრომელთა თავდადებული შრომა ხუთწლედის გადამდე შესრულებისათვის. ბოლო ერთი წლის მანძილზე მის ფურცლებზე გაჩნდა ახალი ანწლოგები. მკითხველი ეცნობა ბევრ საინტერესო, ცოცხალ მასალას იმის შესახებ, თუ რა მუშაობა წარმოებს მაღალმთიანი სოფლების მშრომელთა ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. გაზეთს ბოლო ხანებში ბევრი საფუძვლიანი საქმიანი სტატია აქვს გამოქვეყნებული მეცხოველეობისა და მეცხოველეთბის პრობლემურ საკითხებზე, მომსახურების სფეროს მუშაობაზე, სოციალისტური კანონიერების დაცვაზე. სპეციალური რუბრიკებია შემოღებული სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და მისი შედეგების პუბლიკაციისათვის.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მრეწველობისა და მშენებლობის გაუმჯობესებაზე. ამ დარგების ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი ბოლოს ფურცლებზე ნაკლებად [illegible] ბები, ჩაკარდნები, ხელისშემშლელი მიზეზები, ეჩვენებინა მოწინავე და ჩამორჩენილი მშენებლებანი, [illegible] ან რაიმე რუბრიკით სტატიების, ნარკვევების, რეპორტაჟების გამოქვეყნება? კარგი იყო გაზეთს მშენებლობის ამ ობიექტზე შეექმნა თავისი საგუშაგო, ეკისრა შეფობა. ეს დიდად შეუწყობდა ხელს მშენებლებს ჩამორჩენის დაძლევაში.

როგორც ჩანს, პარტიის ამბოლოურის რაიონული კომიტეტიც საკმაო ხელმძღვანელობისა და დახმარებას ვერ უწევს თავის ორგანოს, დროულად არ უკარნახებს რედაქციას, როგორ ისაზოს გაზეთის ფურცლებზე უფრო კომპეტენტურად და ღრმად რაიონის წინაშე მდგომი მრეწველობისა და მშენებლობის ძირითადი პრობლემები, ადამიანთა შრომითი შემართება, მათი სოციალისტური შეჯიბრება. საჭიროა უფრო ეფექტიანად გამოიყენოს მან გაზეთის ტრიბუნა მეათე ხუთწლეულის დავალებათა შესასრულებლად.

ვ. ციბეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მთიანი რაიონის გაზეთის საზრუნავი

□

ტია აქვს გამოქვეყნებული მეცხოველეობისა და მეცხოველეობის პრობლემურ საკითხებზე, მომსახურების სფეროს მუშაობაზე, სოციალისტური კანონიერების დაცვაზე. სპეციალური რუბრიკებია შემოღებული სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და მისი შედეგების პუბლიკაციისათვის.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მრეწველობისა და მშენებლობის გაუმჯობესებაზე. ამ დარგების ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი ბოლოს ფურცლებზე ნაკლებად [illegible] ბები, ჩაკარდნები, ხელისშემშლელი მიზეზები, ეჩვენებინა მოწინავე და ჩამორჩენილი მშენებლებანი, [illegible] ან რაიმე რუბრიკით სტატიების, ნარკვევების, რეპორტაჟების გამოქვეყნება? კარგი იყო გაზეთს მშენებლობის ამ ობიექტზე შეექმნა თავისი საგუშაგო, ეკისრა შეფობა. ეს დიდად შეუწყობდა ხელს მშენებლებს ჩამორჩენის დაძლევაში.

როგორც ჩანს, პარტიის ამბოლოურის რაიონული კომიტეტიც საკმაო ხელმძღვანელობისა და დახმარებას ვერ უწევს თავის ორგანოს, დროულად არ უკარნახებს რედაქციას, როგორ ისაზოს გაზეთის ფურცლებზე უფრო კომპეტენტურად და ღრმად რაიონის წინაშე მდგომი მრეწველობისა და მშენებლობის ძირითადი პრობლემები, ადამიანთა შრომითი შემართება, მათი სოციალისტური შეჯიბრება. საჭიროა უფრო ეფექტიანად გამოიყენოს მან გაზეთის ტრიბუნა მეათე ხუთწლეულის დავალებათა შესასრულებლად.

ვ. ციბეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გაზაფხული გვაჩქარებს

გაზაფხული მიწათმოქმედი აჩქარებს, ყოველ დღე სულ უფრო ძალუმად იგრძნობა მისი სუნთქვა.

ყოველმხრივ მომზადებულნი შეხვდნენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს ქიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები.

1.700 ჰექტარი მიწა უნდა მოხნან მექანიზატორებმა საგაზაფხულო კულტურების დასათესად. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი, რომელსაც ტარიელ პაპაძე ხელმძღვანელობს, მომავალი მოსავლისათვის ზრუნვა ამოძრავებთ ახალგაზრდა მექანიზატორებს, რომლებიც ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან.

სურათზე: ახალგაზრდა მექანიზატორთა მერგოლური ტარიელ პაპაძე.

ა. მაპპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აგროქიმია სიუხვის დედაა

● როგორ ვიყენებთ სასუქებს, აგროქიმიური მომსახურების არსებულ სიკეთეს ● როგორ აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები აგროქიმიის სამსახურში

მოსავლიანობის გადიდებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სასუქების მეცნიერულ გამოყენებას. დამტკიცებულია, რომ სასუქების გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ერთეულად და ზოგჯერ მეტადაც იზრდება.

35 წლის განმავლობაში (1939-1975) სასუქების წარმოება მსოფლიოში 9-ჯერ გაიზარდა, სსრ კავშირში 23-ჯერ. სასუქების წარმოების ასეთმა მასშტაბმა საშუალება მოგვცა მთელ რიგ დარგებში ფართოდ დაგვეწერა ქიმიზაცია. ყოველწლიურად სასუქების დიდი რაოდენობით გამოყენებამ გარკვეული გავლენა მოახდინა ნიადაგის თვისებებზე, განსაკუთრებით კი მის აგროქიმიურ მაჩვენებელზე. გაიზარდა ნიადაგში როგორც საერთო, ისე მცენარისათვის შეაითვისებელი საკვები ნივთიერების რაოდენობა. ხდება ისიც, რომ ზოგიერთ ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შემდგომი ვამოყენება არამც თუ ადიდებს მოსავალს, არამედ მოსავლიანობის შემცირებასაც კი იწვევს.

აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების სისტემატურად გამოყენება. პარალელურად აზოტის, ფოსფორის და კალიუმის რაოდენობის ზრდასა იწვევს ნიადაგში მაგნუმის, გოგირდის, ბორის, მანგანუმის, თუთიის და მცენარისათვის საჭირო სხვა საკვები ნივთიერებების რაოდენობის სიმცირეს. ამ ელემენტების სიმცირე მცენარის შიმშილის ნიშნებს ავლენს. ეს ამკარად არის შემჩნეული ჩაისა და ციტრუსებზე.

ქიმიზაციის განვითარების დღევანდელ ეტაპზე აუცილებელია ამ ელემენტების შემცველი სასუქების გამოყენება. მაგნიუმის და მიკროელემენტების შემცველმა სასუქებმა თავისი ადგილი უნდა დაიკავოს მცენარეთა განოყიერების სისტემაში. ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიები ახლავე უნდა შეუდგნენ ნიადაგში მცენარისათვის საჭირო ძირითადი საკვები ელემენტების განსაზღვრას. ეს რთული და მეტად შრომატევადი საქმეა. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იაფფასიანი და ზუსტი აგროქიმიური გამოკვლევის მეთოდების შემუშავებას, განსაკუთრებული მეთოდების გამოყენებას. საამისოდ გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების ცენტრალური ინსტიტუტის თბილისის ფილიალში, სადაც შედგენილია ავტომატიზებული ბაზის სქემა ატომური აბსორბციომეტრის გამოყენებით. ეს საშუალებას იძლევა დროის მცირე მონაკვეთში განვსაზღვროთ მცენარისათვის საჭირო ძირითადი საკვები ელემენტები. უნდა დადგინდეს ჩვენი რესპუბლიკის ნიადაგების მოთხოვნილება ორა მარტო ფოსფორზე და კალიუმზე, არამედ მაგნიუმზე, მანგანუმზე, თუთიაზე და მცენარისათვის საჭირო სხვა ძირითად საკვებ ელემენტებზე.

ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიძლება დამზადდეს მაგნიუმის შემცველი სასუქები — ჭ

საკ ლ ე ს ი ს
კორესპონდენტები
იუწყებიან

ფაქტები
ჰიპოთეზები

მსოფლიოს ამბები

16 მარტი

ხელშეკრულების რატიფიკაცია

(დასასრული)

ბონი ნ. ა. ნოვოსელოვამ, სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ა. ტაბეევმა მხარი დაუჭირეს ხელშეკრულების რატიფიკაციის წინადადებას, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მისი დადება ადასტურებს განვითარებად ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ანგოლის ურთიერთობის საფუძველად უდევს საერთო მიზნები და საერთო ღონისძიებანი ანტიიმპერიალისტურ და ანტიკოლონიურ ბრძოლაში, ორივე ქვეყნის ერთგულება მშვიდობისა და თავისუფლების იდეალებისადმი. ყველა ეს დებულება მთელი სიზუსტით აისახა ხელშეკრულებაში.

განხილვის შედეგები შეაჯამა ნ. ვ. პოდგორნიმ. ანგოლის სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებისას, აღნიშნა მან, საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობდა ლენინური საგარეო პოლიტიკის საფუძვლებით, სკკპ XXV ყრილობაზე მიღებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამის მაღალი მიზნებითა და ამოცანებით. ხელშეკრულებაში კონცენტრირებული ფორმით კვლავ აისახა ჩვენი ქვეყნის კურსი ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების მიმართ, როგორც აფრიკის, ისე სხვა კონტინენტების ახალგაზრდა სახელმწიფოების მიმართ, რომლებმაც დამოუკიდებლობას მიაღწიეს.

საბჭოთა და ანგოლელი ხალხების მეგობრობისა და სოლიდარობის ღრმა გრძნობები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა, როცა შარშან სსრ კავშირში ვიზიტით იყო ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, თქვა ნ. ვ. პოდგორნიმ. ეს ვიზიტი, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა აგოსტინიო নეტომ, დიდწონიანი ნიშანსვეტი გახდა ჩვენი ქვეყნების ხალხთა დაახლოების ბაზაზე, როგორც ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევმა თქვა, მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირ-ანგოლის ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას. ხელშეკრულების დადება, უეჭველია, ახალი დიდნაშვილოვანი ნაბიჯია მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოსა და აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა განთავისუფლებული ქვეყნის მეგობრობის გაღრმავების გზაზე.

საბჭოთა კავშირმა და ანგოლამ საქვეყნოდ იკისრეს ვალდებულებანი კვლავაც განუხრელად იბრძოლონ იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის საბოლოო ლიკვიდაციისათვის. ამ კეთილშობილური საქმეში სსრ კავშირი და ანგოლა, ბუნებრივია, ითანამშრომლებენ მთელ პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან.

საბჭოთა კავშირ-ანგოლის ხელშეკრულების დადებამ დადებითი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ხელშეკრულებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირისა და ანგოლის ხალხებმა, მას მიესალმებიან სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, აფრიკისა და სხვა კონტინენტების პროგრესული ძალები, ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია დამოუკიდებლობა, თავისუფლება და მშვიდობა ქვეყნად.

როგორც ცნობილია, სახალხო ანგოლის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ— რევოლუციურმა საბჭომ ამა წლის 25 თებერვალს დაამტკიცა სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

კონკურენციის ვითარებაში

ბონი, (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი გ. ლებერი შეერთებულ შტატებში გაეშგზავრა, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებს თავდაცვის მინისტრ გ. ბრაუნთან და პენტაგონის სხვა მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებთან.

გ. ლებერმა დპას სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ვიზიტის მიზანია „უზრუნველყოს რაც შეიძლება ქმედითი და მეგობრული თანამშრომლობა როგორც ორივე ქვეყანას შორის, ისე ნატოს ბლოკის ფარგლებში“.

დასავლეთგერმანელ მეთვალყურეთა აზრით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საბრძოლო ურყევობათა ხელმძღვანელებს ეს შეხვედრა გაიმართება იმ მომენტში, როცა ორივე ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კოლეგრნებს შორის ძლიერდება საკონკურენტო ბრძოლა ნატოს ქვეყნების არმიათა ხელახლა შეიარაღებასთან დაკავშირებული შეკვეთების გამო.

ანექსიონისტური მადა

თეთრი სახლი მხარს უჭერს ისრაელის აგრესიულ კოლიტიკას

ნიუ-იორკი. (საკდესი). ისრაელის პრემიერმა რაბინმა, რომელიც გამხნევებულია ამერიკის შეერთებული შტატების სრული პოლიტიკური მხარდაჭერითა და საბრძოლო დახმარების კიდევ უფრო გადიდების დაპირებებით. „ეი.-ბი-სის“ კომპანიისათვის მიცემულ საგანგებო ინტერვიუში განაცხადა, რომ ისრაელი არავითარ შემთხვევაში არ დაუბრუნდება 1967 წლის ომის დაწყებამდე არსებულ საზღვრებს.

რაბინმა უგულებელყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ცნობილი რეზოლუციები და უტიფრად ამტკიცებდა, ყოველისმომცველი მოწესრიგების თაობაზე ნებისმიერ მოლაპარაკების დროს არაბულმა ქვეყნებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ამ რეგიონის „ახალი რეალობანი“ და მზად იყვნენ „ტერიტორიული კომპრომისის“ განსახილველადო.

რაბინის ანექსიონისტური მადა მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ამას წინათ თეთრ სახლში მოლაპარაკება ჰქონდა პრეზიდენტ ჯ. კარტერთან. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ტელევიზიაში განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი „ცნობს ისრაელის დაცვითი საზღვრების უფლებას“. პრეზიდენტ კარტერის სტატეგები ისრაელის „დაცვითი საზღვრების“ შესახებ სავსებით აძლევს ხელს ტელ-ავივის მმართველებს, რომლებიც „არს ამბობენ დაუბრუნონ არაბებს 1967 წლის აგრესიის შედეგად ოკუპირებული მთელი ტერიტორიები. ამასთან ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის კონცეფცია მეტად წააგავს 1969 წელს წამოყენებულ „ალონის გეგმას“ მიტაცებულ არაბულ მიწებზე ისრაელის მიერ სამხედრო ზღუდეების შექმნის შესახებ. ეს გეგმა ადაჭრით უარყვეს არაბულმა სახელმწიფოებმა, ვინაიდან იგი არ შეეფერებოდა მათს ძირითად მოთხოვნას — აგრესორის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

რაბინმა კვლავ განაცხადა, რომ ისრაელს „არავითარი საქმე არ ექნება“ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან, და აზრი გამოთქვა ეგვეტის კონფერენციის მუშაობაში მისი მოხაწილეობის წინააღმდეგ.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, თეთრ სახლში მოლაპარაკების დროს მან შეამჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია სრული გაგებით ეკიდება და მზად არის მხარი დაუჭიროს ისრაელს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა, ხაზი გაუსვა მან, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დამოკიდებულებაში ტელ-ავივის იმ თხოვნისადმი, რომ ამერიკამ იარაღი მიაწოდოს ისრაელს.

რაბინმა თქვა, რომ ისრაელი დააჩქარებს სხვა ქვეყნებისათვის საკუთარი იარაღის მიწოდებას. როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მისი მთავარი კლიენტია სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმი. ისრაელში იარაღის წარმოება შესაძლებელი გახდა ამ ქვეყანაში ამერიკის სამხედრო ტექნიკისა და ტექნოლოგიის ექსპორტის მეოხებით.

ნიღაბი ჩამოგლეჯილია

პარიზი, (საკდესი). ჩილეს სამხედრო-ფაშისტური ხუნტის დეკრეტი, რომლის მიხედვითაც ჩილეში (ითვლება ყველა პოლიტიკური პარტია, მოუნდა ერეკ ხუნტას სურ. უფრო მეტად ეშინია „ოლიგარქიისა“ ხუნტა ალენდეს ნიღაბ-ალენტე“.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი მოუთითებს ჩილეს შინაპოლიტიკური მდგომარეობის ახალ ელემენტზე. თუ ჯერ კიდევ ხულიოტა ხნის წინ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ზოგიერთ ხელმძღვანელს შესაძლებლად მიაჩნდა ხუნტასთან დიალოგი, ახლა მთელი ეს პარტია ოპოზიციაში დაუდგა რეჟიმს. ჩილეს მოსახლეობის საშუალო ფენების მეტი ნაწილი ისევ ალარ უჭერს მხარს რეაქციონერ გენერლებს. პინოჩეტი და მისი ხელქვეითნი, ხაზგასმით აღნიშნავს „ლემანტი“, ხელისუფლების სათავეში მხოლოდ პოლიტიკური პოლიციის — დინას ტერორის წყალობით თუ სძლევენ. ლინეი ჯალათების საქმიანობა მხოლოდ პიტლერული გესტაპოს დანაშაულობებს თუ შეიძლება შეედაროს.

ქვეყანაში ყველა პოლიტიკური პარტიის საქმიანობის აკრძალვამ, წერს მეორე ფრანგული გაზეთი „ეტიდიენ დე პარი“, ჩილეს ხუნტას უკანასკნელი ნიღაბი ჩამოგლეჯა.

შანჰაის ამბები

პეკინი, (საკდესი). ჩინეთის პრესა იუწყებოდა, რომ „ოთხთა ჯგუფის“ განადგურების შემდეგ შანჰაიში კვლავ მოქმედებდნენ ამ ჯგუფის აგენტები, რომლებიც ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ამავე ცნობების თანახმად, „შანჰაის ჯგუფი“ ისახავდა კონტრრევოლუციური შეიარაღების ამბოხების გეგმას, შექმნა თავისი სარდლობა, დარაზმა მინბინები (სახალხო მოლაშქრენი), ურიგებდა მათ იარაღსა და ტყვია-წამალს და ა. შ. შანჰაიდან მთელ ჩინეთში გავრცელდა „მასალები, რომლებიც ცენტრალური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ არის მიმართული“.

იუწყება რა შანჰაის ადგილობრივი პარტიული და ადმინისტრაციული აპარატის წევრების შესახებ, გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“ აღნიშნავს, რომ ამჟამად იქ მიმდინარეობს ჩინეთის კომპარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ მოწვეული თათბირები, რომლებზეც აჯამებენ იმ ღონისძიებათა შედეგებს, რომელთა მიზანია, როგორც გაზეთი წერს, „შანჰაის საკითხის“ გადაწყვეტა.

ეროვნული ცნობები

სსრ კავშირი ლაიფციგის გამოფენაზე

● ლაიფციგი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა, საზღვარგარეთელი სტუმრები დიდი ინტერესით ეცნობიან საბჭოთა კავშირის პავილიონს ლაიფციგის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობაზე.

სსრ კავშირის პავილიონში წარმოდგენილი 8 ათასი ექსპონატი ცხადყოფს იმ უდიდეს წარმატებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია ეკონომიკის, შეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის, ქიმიისა და ელექტრონიკის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ნაკეთობანი, რომლებიც 700 საბჭოთა საწარმოშია დამზადებული, დამთვალიერებელთა და სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევს.

რეფერენდუმის შედეგები

● ბერნი. აქ გამოაქვეყნეს შვეიცარიაში უცხოელ მუშათა შესახებ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები. ხმის მიცემაში მონაწილეთა უმრავლესობამ უარი თქვა ქვეყანაში უცხოელ მუშათა რიცხვის შემცირებაზე. რეფერენდუმის შედეგებმა ქვეყნის პროგრესულ ძალთა კმაყოფილება გამოიწვია, ამავე დროს მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლები კვლავ მომრთავენ მუშათა კლასის გათიშვის ცდებს და აცხადებენ, რომ აპირებენ კვლავაც ამოქმედონ შვეიცარიაში უცხოელების „მოძალების“ წინააღმდეგ.

ტელეფონისტთა გაფიცვა

● მეხიკო. მექსიკის სატელეფონო კომპანიის „ტელეფონოს დე მეხიკოს“ პერსონალმა გამოაცხადა გაფიცვა, ხელფასის მომატების შესახებ მოთხოვნის მხარდასაჭერად თავიანთი პროფკავშირის მოწოდებით ათასობით ტელეფონისტმა ქვეყნის დედაქალაქში მიტინგი მოაწყო კომპანიის ადმინისტრაციული შენობის წინ.

მიწისძვრა იაპონიაში

● ტოკიო. კუნძულ ჰოკაიდოზე მოხდა ორბალიანი მიწისძვრა იაპონიაში მიღებული შვიდ बალიანი სკალით. იაპონიის მთავარი მეტეოროლოგიური სამმართველოს ცნობით მიწისძვრის ეპიცენტრი წუნარი ოკეანის ფსკერზეა.



ბენჯამინ ჩეივისი ბრალს სდებს

რასისტული და პოლიტიკური დევნის მსხვერპლნი

მაკმინის საპყრობილე ერთ-ერთია ჩრდილოეთ კაროლინის შტატის 77 საპყრობილიდან. ეს არის ჩვეულებრივი გრძელი ორსართულიანი შენობა, რომელიც უდაბურ ადგილას დგას, დასახლებული პუნქტების მოშორებით. უკანასკნელ ხანს შეერთებულ შტატებში იგი ფართოდ ცნობილი გახდა. აქ იტანჯება პატიმარი ნომერი „320-მ“ — ბენჯამინ ჩეივისი, 29 წლის ზანგი მღვდელი, „უილმინგტონის ათეულის“ — მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი. ისინი ხელისუფალთა მიერ შეთითხნილი იმ ბრალდების საფუძველზე დაუსაბამრეს, თითქოს საბაყლო დაეწვათ უილმინგტონში. მათ საერთოდ მიესჯათ 282 წელის, აქედან ჩეივისს — 34 წლის პატიმრობა.

„ჩვენ სრულიად უდანაშაულონი ვართ, — განაცხადა ბენ ჩეივისმა, — როცა საკდესის კორესპონდენტს თავის და თანამებრძოლების სსტეკი პოლიტიკური დევნის ამბავს უამბობდა, — ჩვენ საპყრობილეში იმიტომ კი არ ვართ, რომ რაიმე სისხლის სამართლის დანაშაული ჩავიდინეთ. ეს იმის უშუალო შედეგია, რომ ვცდილობდით დაგვეცვა მოქალაქეობრივი უფლებები და ორგანიზატორულ მუშაობას ვეწეოდით ფართო მასებში, მუშებსა და სტუდენტებში, ვცდილობდით მოგვეყო ბრძოლა ამერიკაში რასიზმის წინააღმდეგ. სატუსაღოში მხოლოდ ამისთვის მოვხვდით. ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ძალადობის ან სისხლის სამართლის დანაშაულის რაიმე აქტის ჩადენასთან, და ამ საფუძველზე ჩვენს წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა. ამერიკაში ძალიან უყვართ ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს აქ ვერავინ ვერ მოხვდება სატუსაღოში, თუ დანაშაული არ ჩაიდინა. სიმართლე კი ის არის, რომ პოლიტიკური მოტივებით ამერიკის შეერთებული შტატების საპყრობილეებში აღმოჩნდა არა მარტო „უილმინგტონის ათეული“, არამედ ბევრი სხვა პატიმარიც“.

შეგახსენებთ, როგორ შეთითხნეს „უილმინგტონის ათეული“ საქმე. 1973 წელს უილმინგტონში (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) მკვეთრად გააქტიურდა სკოლებში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტის მოძრაობა. ქალაქის ერთ-ერთ ეკლესიაში მიტინგი გაიმართა ბენ ჩეივისის ხელმძღვანელობით. ამ მიტინგის 10 მონაწილე დააპატიმრეს და მალე დასდეს მსჯავრი ერთადერთი მოწმის — ვინმე ე. ჰოლის „ჩვენებათა“ საფუძველზე. ხელისუფალნი უარს ამბობენ მებრძოლთა განთავისუფლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ შარშან ე. ჰოლმა აღიარა, სასამართლოზე ყალბი ჩვენება მივეცი პოლიციისა და პროკურატურის ზეწოლის შედეგითო.

ბოლო დღეებში უილმინგტონის ამბების კიდევ ორი მოწმე დათანხმდა დამატებითი ჩვენებების მიცემაზე, რომლებიც ადასტურებენ „ათეულის“ უდანაშაულობას დაბრალებულ დანაშაულში. ესენი არიან თეთრკანიანი მეფდელი იუჯინ ტემპლტონი და საქველმოქმედო საზოგადოების თანამშრომელი პატრიცია როდს. მათ ოფიციალურად განაცხადეს, რომ, როდესაც საბაყლოში ხანძარი მოხდა ბენ ჩეივისი და მისი თანამებრძოლები ტემპლტონის სასლში იყვნენო. „რატომ სდუმდნენ ისინი დღემდე? „მათ ეშინოდათ, — ამბობს ბ. ჩეივისი. — მათ იცოდნენ, რომ თუ სასამართლოში დაცვის მოწმედ გამოცხადდებოდნენ, თვითონ გახდებოდნენ „ხელისუფალთა მსრივ დევნის ობიექტი. ხელისუფალნი ჩვეულებრივ იმათ უსწორდებიან, ვინც ცდილობს ამხილოს მათი ბოროტმოქმედება. ჩვენების მიუცემლადაც ტემპლტონი და როდსი ამ ხუთი წლის განმავლობაში მუდმივ შიშში ცხოვრობდნენ. ისინი იძულებული გახდნენ ჩრდილოეთ კაროლინის შტატიც კი დაეტოვებინათ“.

„შტატის გუბერნატორმა ჯ. ჰანტმა და ჩრდილოეთ კაროლინის გენერალურმა პროკურორმა იდმისტენმა მშვენივრად იციან, რომ ჩვენ დამნაშავენი არა ვართ, — გაანგრძობს ბენ ჩეივისი, — მაგრამ ისინი უარს ამბობენ „უილმინგტონის ათეულის“ განთავისუფლებაზე. მათ თავიანთი მოსაზრებანი აქვთ — რასისტული და პოლიტიკური“.

„მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი მსჯავრდადება და პატიმრობა ადამიანის უფლებათა დარღვევაა?“. რა თქმა უნდა! ეს ადამიანის უფლებათა ამამაფოთებელი დარღვევაა, — ამბობს ბ. ჩეივისი. — ჩვენი ხელისუფლების თვალთმაქცობა პირდაპირ განსაცვიფრებელია. ისინი ამტკიცებენ, სხვა ქვეყნებში არღვევენო ადამიანის უფლებებს, მაგრამ თვალს ხუჭავენ თვითონ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ უფლებათა უხეშ დარღვევებზე. „უილმინგტონის ათეული“ მხოლოდ იმიტომ დააპატიმრეს, რომ ხელისუფლებს სურთ ჩაგვაჩუმონ, სურთ მოგვისპონ რასიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ხალხის დარაზმვის შესაძლებლობა“.

პატიმარმა „320-მ“ ჯიბიდან ამოიღო მისი ხელით დაწერილი რამდენიმე ფურცელი და თქვა: „აი ამ თემაზე დაწერილი წერილის პირი, რომელიც პრეზიდენტ კარტერს გავუგზავნე თეთრ სახლში, წერილის პირი გავუგზავნე აგრეთვე საინფორმაციო საააგენტოებს, გაზეთებს „ვაშინგტონ პოსტს“ და „ნიუ-იორკ ტაიმსს“ რედაქციებს. მან ხაზი გაუსვა, რომ წერილი დაწერა არა მარტო „უილმინგტონის ათეულის“ სახელით, არამედ შეერთებული შტატების ყველა პოლიტიკური პატიმრის სახელითაც.

ამ წერილში, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბ. ჩეივისმა განაცხადა: „ჩვენ რასისტული და პოლიტიკური დევნის ათი მსხვერპლი ვართ. რა პირით შეუძლია ჩვენს მთავრობას მხარს უჭერდეს ადამიანის უფლებებს, არღვევდეს ამ უფლებებს ქვეყნის შიგნით, იყენებდეს ამ მიზნათ სასისხლო სამართალწარმოებას?!“.

ამ წერილის გაგზავნიდან უკვე კვირაზე მეტი გავიდა, მაგრამ ჩეივისს არ მიუღია პასუხი თეთრი სახლიდან. წერილის შესახებ კრინტი არ დაუძრავს არც „ობიექტურობით“ მოყოყონე ბურჟუაზიულ პრესას, რომელიც მთელ გვერდებს უთმობს სოციალისტურ ქვეყნებში „დისიდენტების“ ვითომდა დევნის შესახებ მონაჭორებს.

ხელისუფალთ ეშინიათ, რომ ერთ საპყრობილეში ჰყავდეთ „ათეულის“ ყველა წევრი: ისინი სხვადასხვა სატუსაღოებში არიან გაფანტული, განაგრძობს ამბავს ბენ ჩეივისი. მისი სიტყვით, მარტო ჩრდილოეთ კაროლინის შტატში 77 სატუსაღოა, რომელებშიც 14 ათასამდე პატიმარია, თანაც მათი უმრავლესობა ზანგები და ამერიკელი ინდიელები არიან. „უილმინგტონის ათეულის“ წევრთა უმრავლესობა განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის საკნებში ჰყავთ დამწყვდეული.

ლაპარაკი ჩამოვარდა ციხის ხელისუფალთა სისასტიკესა და მათ მიერ პატიმრების აბუჩად აგდებაზე. მაკინის საპყრობილეში, ამბობს ბენ ჩეივისი, ხორცელდება ნარკოტიკული პრეპარატების საშუალებით პატიმართა ფსიქიკაზე ხელოვნური ზემოქმედების სპეციალური პროგრამა. განსაკუთრებით ფართოდ სხარობენ ტორზინსა და პოლიცენს. „ეს პრეპარატები არღვევენ ადამიანის პიროვნებას. მათი საშუალებით შეიძლება შეიცვალოს ადამიანის მყარი ჩვეულებანი, პატიმრები, რომლებსაც პრეპარატებს უკეთებენ, ჩუმად სხედან საწოლებზე, როგორც რეტდასხმულები... ყველაფერი იძულებით ხდება. თუ ზოგი ვინმე უარს იტყვის პრეპარატების მიღებაზე, ცხის ზედამხედველები გაბოჭავენ პატიმარს და აიძულებენ ძალით მიიღონ იგი. ყველაფერი ეს ჩემი თვალით მინახავს“.

იგივე ხდება ამერიკის სხვა სატუსაღოებშიც, ამბობს ბენ ჩეივისი, რომლის მკაცრი რეჟიმის ცენტრალური საპატიმროს ბევრ პატიმარს უთქვამს ჩემთვის, რომ ელექტროდენით უწამებიათ. ადამიანის ქცევაზე ხელოვნური ზემოქმედების პროგრამის შესასრულებლად სპეციალურად აშენდა უახლესი საპყრობილე ბატონრში. იქ ცდებს ატარებენ მამაკაცებზე, ქალებზე, მცირეწლოვანებზე...“

ინტერვიუს დასასრულს ბენ ჩეივისმა მთხოვა დიდი მადლობა გადავცე მხარდაჭერისთვის, რომელიც „უილმინგტონის ათეულს“ უწევენ ამერიკისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ფართო ფენები. საერთაშორისო სოლიდარობა, საერთაშორისო მხარდაჭერა—აი რა სჭირდება ჩვენს ბრძოლას თავისუფლებისათვის, — თქვა მან. — საერთაშორისო სოლიდარობა რომ არა, ანჯელა დევისი დღემდე საპყრობილეში იჯდებოდა, ლუის კორვალანი დღესაც ჩილეს საპყრობილის ტუსაღი იქნებოდა. და მე მწამს, რომ ამ საერთაშორისო სოლიდარობის წყალობით, თავისუფლებას მოიპოვებს „უილმინგტონის ათეულის“ ყველა წევრი, ყველა სხვა პოლიტიკური პატიმარი ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

ვ. ფრიმენი,
საკდესის კორესპონდენტი.
(ჩრდილოეთი კაროლინა-ნიუ-იორკი).

ფუფლებობა, უიმედობა, ძალადობა

ესეც შენი „თავისუფალი სამყარო“

ერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ასეულ ათასობით ადამიანს ამოწმებენ „პოლიტიკურ საიმედოობაზე“. რეაქცია ეგრეთწოდებულ „პროფესიების აკრძალვას“ იყენებს იმ პირთა დისკრიმინაციისათვის, რომელთა დემოკრატიული შეხედულებებიც მისთვის არასასურველია.

სურათზე (მარცხნივ): დემონსტრანტის პლაკატზე წარწერილია კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი და მოთხოვნა, რომ შეწყდეს მოქალაქეობრივ უფლებათა დარღვევა.

აგრეთწოდებული „სოციალური კონტრაქტის“ მთავრობასა და პროფკავშირებს შორის მშრომელთა ხელფასის შეზღუდვის თაობაზე შეთანხმების — დადებიდან განვლილ წელიწადნახევარში ინგლისის მეტი წილი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა ნაკლებად გაუარესდა. ფასები ამ უკანასკნელ წელიწადში საშუალოდ 16,7 პროცენტით გაიზარდა და კვლავაც იზრდება.

სურათზე: ლონდონის მშენებელ მუშათა პიკეტი, რომლებიც „სოციალური კონტრაქტის“ განხლების წინააღმდეგ გამოდიან.

საკდესის ფოტო.

კორესპონდენტის შენიშვნა

რატომ არის ამდენი თვითმკვლელობა?

ასეთია დასავლეთური კეთილდღეობის ნიღაბი

ასეთი სავანგაშო სათაური ჰქონდა ამას წინათ გაზეთ „კველსპოსტენის“ მოწინავე წერილს. გაზეთი შვეიცის ქალაქ ბალშეში გამოდის და მის შემფოთებას საკმაო საფუძველი აქვს, რადგანაც 1976 წელს ქვეყნის სიდიდით მესამე ქალაქში, სადაც ერთ მეოთხედ მილიონზე ნაკლები მოსახლეობაა, 100-მა ადამიანმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ეს ციფრი ექვსჯერ აღემატება საავტომობილო კატასტროფების მსხვერპლთა რიცხვს. სტატისტიკა არაფერს ამბობს წარუმატებლად დამთავრებულ თვითმკვლელობის მცდელობაზე, რასაც, ცხადია, არც თუ იშვიათად ჰქონდა ადგილი.

თვითმკვლელთა შორის მეტ წილად 25-35 წლის მამაკაცები იყვნენ. მთელი შვეიცის მასშტაბით შარშანდელი მონაცემები ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა, მაგრამ, როგორც „კველსპოსტენი“ აღნიშნავს, დაახლოებით ასეთივე სურათია ქვეყნის სხვა რაიონებშიც.

შვეიცია, როგორც ცნობილია, იმ კაპიტალისტური ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ცხოვრების საკმაოდ მაღალი დონეა. უფრო მეტიც, დიდი ხნის მანძილზე იგი დასავლეთში „კეთილდღეობის ქვეყნად“ ითვლებოდა, მასზე მიუთითებდნენ როგორც თავისებურ „მოდელზე“ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის.

სამოციანი-სამოცდაათიანი წლების მიჯნაზე ამ მითმა თანდათანობით გაჭარწყლება იწყო იმ მოვლენების შედეგად, რაც კლასობრივი ბრძოლის და სოციალური პრობლემების არსებობას მოწმობდა.

შვეიცის არც თუ დიდი ქალაქის ასი მცხოვრების ტრაგიკული ბედი, რომლებმაც თვითმკვლელობაში დაინახეს ცხოვრების ჩიხიდან გამოსავალი, მძიმე ბრალდებაა არსებული წყობილებისათვის.

რა არის ამის მიზეზი?

ეს ადამიანები თითქოს მატერიალურად უზრუნველყოფილი იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, არ შიმშილობდნენ და არ მათხოვრობდნენ. მაგრამ რას ნიშნავს ევრეთწოდებული „უზრუნველყოფა“? სად არის მისი საზღვრები? უკვე აქსიომად იქცა ცნება „არა მარტო პურით არსობისა“. აქ, შვეიცარიაში თითქმის ყველას ერთი აზრი აქვს: მიუზღაოდად იმისა, რომ ქვეყანას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებით, მის მოქალაქეებს არასოდეს ასე მწვავედ არ უგრძვნიათ თავიანთი განკერძოებულობა, როგორც ახლა.

ბურჟუაზიული გაზეთი „კველსპოსტენიც“ წერს განკერძოებულობაზე როგორც თვითმკვლელობათა ერთ-ერთ მიზეზზე და სხვადასხვა რეცეპტებს სთავაზობს (ერთ-ერთი მათგანია სადღეღამისო ბიუროს შემოღება, რომელიც დახმარებას გაუწევს მოქალაქეებს რჩევებითა და საქმით). მაგრამ არა გვგონია, რომ იგი ქმედითი აღმოჩნდეს. გაადფთრებული კონკურენცია კაპიტალიზმის პირობებში, რასაც თან ახლავს უმუშევრობა, ინფლაცია და ფასების ზრდა — აი რა წარმოშობს განკერძოებულობას ადამიანებს შორის, მიუხედავად იმისა, თუ უზრუნველყოფის რა დონეს მიაღწიეს მათ. (ასს).

სმრიოგზული შემფოთება

ვაშინგტონი, (საკდესი). „კითხვა-პასუხების“ სატელევიზიო პროგრამით გამოსვლისას, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჯ. კალაგენმა შეშფოთება გამოთქვა დასავლეთის სამყაროს ეკონომიკური მდგომარეობის გამო, რომელიც, როგორც მან თქვა „შეიძლება სერიოზული იყოს 18 თვის მანძილზე“. „მე ის მაწუხებს, რომ ნელი ზრდის პერიოდი გვექნება, რომლის დროს არ შემცირდება უმუშევრობის დონე“, — თქვა კალაგენმა, „რა საზოგადოებას ეთავაზობთ დასავლეთის სამყაროს ხალხებს, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, — თუ 12 მილიონი უმუშევარი გვეყოლება? როგორ იქნება მიმზიდველი საზოგადოების ჩვენი ფორმა, რომელიც ჩვენ გვწამს?“.

ტალანტების პარადი

ტალანტების პარადი უწოდეს სპეციალისტებმა და კრიტიკოსებმა ქვეყნის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების სადიპლომო ნამუშევრების გამოფენას, რომელიც დიდი წარმატებით მოეწყო თებერვალ-მარტში მოსკოვის მანეژში.

ქვეყნის 17 უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელს შორის წარმოდგენილი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა ნამუშევრები. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა აკადემიის რექტორს, პროფესორ გ. თოთიბაძეს ეამბნა გამოფენის შესახებ.

— საინტერესო ექსპოზიცია, თქვა მან, მიეძღვნა ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს. გამოფენამ ნათლად ცხადყო, თუ რა ფართო გზა და დიდი შესაძლებლობები აქვთ ჩვენს ქვეყანაში ტალანტებს.

გამოფენილი იყო დაახლოებით ორი ათასამდე ავტორის ოთხ ათასზე მეტი ნამუშევარი. ბევრი მათგანი შეიძინეს მუზეუმებმა, მიენიჭათ პრემიები, დიპლომები, მედლები, სიგელები, ბევრიც დაპატენტდა, დაინერგა წარმოებაში, იყო პრესაში.

განსაკუთრებით გაგვახარა იმან, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიამ ექსპოზიციაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა და როგორც სპეციალისტებს, ისე ფართო საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიქცია.

მანეژის დარბაზებში მოეწყო ჩვენი აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების შეხვედრა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. ჩვენ აგვაღელვა როგორც საბჭოთა სახვითი ხელოვნების წამყვანი ოსტატების, ასევე საზღვარგარეთელი მხატვრების, დედაქალაქის მუშების, მოსამსახურეებისა და სტუმრების გამოხმაურებამ.

გაიმართა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის 34-ე სესია, რომელიც მიეძღვნა ქვეყანაში უმაღლესი სამხატვრო განათლების საკითხებს შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

სესიაზე განიხილეს ქვეყნის სამხატვრო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენის ექსპოზიცია. ყველამ ერთხმად აღნიშნა ქართული სახვითი ხელოვნების დიდი წარმატება, აკადემიკოსების უ. ჯაფარიძის, ვ. თოფურიძის, ს. ქობულაძის შემოქმედებითი სახელოსნოების დიპლომანტების კარგი ნამუშევრები.

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა აკადემიკოსმა ნ. ტომსკიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა სამხატვრო სკოლა სასწავლო-აღმზრდელობითის პროცესს ამყარებს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისა და ეროვნული და მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციების შემოქმედებითს განვითარებაზე. ჩვენი სამხატვრო სკოლის ინტერნაციონალური ხასიათის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიაში აღიზარდა რუსეთის ფედერაციის, სომხეთის, აზერბაიჯანის ბევრი, ახლა უკვე წამყვანი მხატვარი. წლევანდელი ექსპოზიცია იმას მეტყველებს, რომ ქართული სკოლა სწორ გზას დგას და სახვითი ხელოვნების ღირსეულ ოსტატებს ამზადებს.

გამოფენამ კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობენ ჩვენს ქვეყანაში სახვითი ხელოვნების განვითარებას, საბჭოთა ხალხის იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში მისი როლის ამაღლებას.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი აკადემიკოსი ნ. ტომსკი (ცენტრში) ათვალიერებს ქართველ ოსტატთა ექსპოზიციას.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

საგასტროლოდ — გერმანიაში

დღეს, 16 მარტს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასი მოსკოვში მიემგზავრება, საიდანაც ქართველი მსახიობები საგასტროლოდ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეწვევიან. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა თეატრის დირექტორს აპაკი ბაძრაძეს, რომელმაც გვითხრა:

— რუსთაველის თეატრის გასტროლები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ღირსშესანიშნავი მოვლენაა თეატრის ცხოვრებაში და დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. წარმოვადგენთ ბ. ბრეხტის „კავკასიურ ცარცის წრეს“: მოგეხსენებათ, ამ სპექტაკლმა როგორც ჩვენი, ისე მოსკოველი მაყურებლის აღიარება მოიპოვა. მაგრამ მაინც განსაკუთრებით ვღელავთ, რადგანაც დიდი გერმანელი დრამატურგის ბერტოლდ ბრეხტის სამშობლოში მისივე პიესით უნდა წარვსდგეთ. გერმანიაში მესამედ მივემგზავრებით და გასტროლებისათვის საგანგებოდ მოვემზადეთ...

22 მარტიდან 3 აპრილამდე 15 წარმოდგენას ვაჩვენებთ. ჩვენი ვალია ევროპის გულში ღირსეულად დავიცვათ ქართული თეატრალური ხელოვნების პრესტიჟი.

• • •

სურათზე: სპექტაკლ „კავკასიური ცარცის წრის“ პროგრამა-ბუკლეტი გერმანულ ენაზე.

თბილისის პრემიერები

„ეზოში ავი ძაღლია“

ამ დღეებში თბილისელმა მაყურებელმა მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე ნახა კიტა ბუაჩიძის ტრაგიკული კომედია „ეზოში ავი ძაღლია“. დამდგმელი რეჟისორია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტი გ. თოდაძე, დადგმის ხელმძღვანელია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი გ. ლორთქიფანიძე; მხატვრობა ეკუთვნის უ. იმერლიშვილს, მუსიკა — ვ. კუხიანიძეს.

□

სპექტაკლი ლაურეატი

ჰიპოშრა. თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ნელი ინასარიძემ მეტალურგთა კულტურის სასახლეში დადგა დრამატურგ გიგი მარუაშვილის სატირული კომედია „ბაჩუნა“.

თვითმოქმედი დრამატული კოლექტივების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე სპექტაკლს მიენიჭა დიდი ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება.

დიად იუბილეს მიეძღვნა

დუშეთი. (საკ. კორ.). კულტურის სახლზე ენციკლოპედიის მორიგი მეცადინეობა მიეძღვნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის მზადებას.

ლექცია — ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარების გზები. — წაიკითხა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ლექტორმა დ. გოგუაძ. შემდეგ კონსერვატორიის კათედრის დეკანმა შ. ქუთათელაძემ უნივერსიტეტის მსმენელებს უამბო თავის შეხვედრებზე, გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორებთან, ისაუბრა იმ დიდ წარმატებებზე, რაც ქართულ მუსიკას წილად ხვდა მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში.

დასასრულს კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა ძალებით გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვ. გლუნჩაძემ.

ღღეგრძელთა მხარე

ცაგერი. (საკ. კორ.). ორასზე მეტი დღეგრძელი ცხოვრობს ლეჩხუმში. საცოცხლის ხანგრძლივობის რეკორდი ეკუთვნის რაიონულ ცენტრში მცხოვრებ მინა ანდრიას ასული ჯიაძე-მეშვილიანს. იგი ამჟამად 131 წლისაა, აქვს ნორმალური სმენა, ეს არის ოღონდ, რომ ბოლო ხანს ცოტა „თვალის დაკლებას“ უჩივის.

ბევრმა ლეჩხუმელმა დღეგრძელმა დღემდე შეინარჩუნა შრომის უნარი და მხნე განწყობილება. ორბელელი თომა სანიკიძე, მაგალითად, კვლავ გამრჯედ შრომობს კოლმეურნეობაში. აქტიურ საოჯახო საქმიანობას ეწევა ლუხვანოს მკვიდრი ნეფადორ სტეფანეს ასული კვირკაშვილ-ბენდელიანი.

განსაკუთრებით ბევრი ხანდაზმული მოხუცი ცხოვრობს ოყურეშში, ჩხუტელში, საირმეში, ორხევში, ორბელში, ზუბში, ლაილაშში და სხვა მაღალმთიან სოფლებში.

დღეგრძელთა მხარე — ლეჩხუმი გერონტოლოგთა შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

ინგლისში, ჰოლანდიაში, გერმანიაში...

წალენჯიხა. (საკ. კორ.). ყოველწლიურად წალენჯიხის მარკეთ შავი და მწვანე ბაიხის ჩაის პროდუქცია დიდი რაოდენობით იგზავნება პოლონეთსა და გერმანიაში. საზღვარგარეთელ მომხმარებელთა რიგებს შეემატა აგრეთვე დიდი კაპიტალისტური ქვეყანა — ინგლისიც.

მეშახტეები — საზღვარგარეთ

ტყიბული. (საკ. კორ.). ბევრი მეშახტე კუთვნილ შვებულებას საზღვარგარეთის ქვეყნებში ატარებს. სტალინის სახელობის შახტის ელექტროზენაკალმა გ. ნიშნიანიძემ რუმინეთისა და ბულგარეთის კურორტებზე დაისვენა. სატესტპლოატაციო უბნის უფროსმა ო. რიჟამაძემ შვებულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბოლონეთში გაატარა, ხოლო ცალის უფროსმა ა. გაბელაშვილმა ჩეხოსლოვაკიაში იმოგზაურა.

გაზაფხულდა. თბილისის რესპუბლიკურ ნორჩ ნატურალისტთა სადგურში გულმოდგინედ ემზადებიან ფრთოსანი მეგობრების შეხვედრად.

სურათზე: თბილისის № 65 სკოლის ნორჩი ნატურალისტები მარცხნივ — გ. მდივანოვი, ზ. ჯალაღანია, უ. ხუციშვილი და ი. ბეკაია.

ს. პილაძის ფოტო.

1 ეტაპი

ფეხბურთი

მინიმალური ანგარიშით

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში სსრ კავშირის ნაკრებსა და თბილისის „დინამოს“ შორის.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა. ეს ერთადერთი ბურთი დინამოელთა კარში პირველი ტაიმის მე-17 წუთზე გაიტანა ფიოდოროვმა.

პირველი ტაიმის დასასრულს მაყურებლებმა და ფეხბურთელებმა დიდი ფეხბურთიდან გულთბილად გააცილეს სპორტის დამსახურებული ოსტატი მურთაზ ხურცილავა, რომელიც წლების მანძილზე სსრ კავშირის ნაკრებისა და თბილისს „დინამოს“ კაპიტანი იყო.

თასი — საქართველოს ნაკრებს

ლენინგრადში „ახალ სპორტულ მანეژში კვირას დამთავრდა სამდღიანი საკავშირო ტურნირი ფეხბურთში ახალგაზრდულ გუნდებს შორის (მოთამაშეთა ასაკი 16-18 წელი), რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის მიეძღვნა.

ასპარეზობაში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებიც (უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ა. კოტრიკაძე). ქართველმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს მოსკოვისა (3:1) და ლენინგრადის (1:0) გუნდები, ხოლო ბელორუსიის ნაკრებთან ფრედ (1:1) ითამაშეს.

ამრიგად, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები პირველ ადგილზე გამოვიდა და სპპატიო თასი მოიპოვა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს გუნდის კაპიტანი გოჩა ჯოხაძე.

ე. სარალიძე,
გუნდის უფროსი.

ცხენოსნობა

სამატჩო შეხვედრა

თბილისის იპოდრომზე ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს და აზერბაიჯანელ ახალგაზრდა ცხენოსანთა სამატჩო შეხვედრა.

„გახსნის პრიზზე“ დაბრკოლებათა გადალახვაში პირველი იყო ჩვენი გუნდის წარმომადგენელი მ. სამველიანი. მეორე ადგილზეა აზერბაიჯანელი გოგონა გალინა ტრეტიაკოვა, მესამეზე — მ. მახარაძე. ცხენის გაწვრთნაში ე. წ. „საუკეთესო პრიზზეი“ მოიპოვა აზერბაიჯანელმა შ. საბიტოვმა.

საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება ორჭიდელებს შორის. უმცროსი ასაკის ცხენებისათვის პირველობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა ზ. დუნდუამ.

შეჯიბრების დასკვნით აკორდს წარმოადგენდა დაბრკოლებათა გადალახვა „მეგობრობის თასზე“, რომელიც ორ გიტად ჩატარდა. ორივე გიტში დაბრკოლებები სუფთად გადალახა სტუმარმა გალინა ტრეტიაკოვამ. მეორე ადგილზეა ხ. სიმონია.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საქართველოს ცხენოსნებმა.

ნ. სიპინავა.

ჭადრაკი

პრეტენდენტთა მატჩებზე

ლიუცერნში პოლუფინალურ მეკინგის მატჩის მეექვსე партიაში ბრაზილელი დიდოსტატი თეთრებით თამამშოდა პარტია დაუმთავრებელი დარჩა. გარიში კვლავ ნდებ ბრაზილიელ-საბჭოთა მოჭადრაკის სასარგებლოდ — 3:2.

ჩოკოში კარგა ხნის შესვენების შემდეგ განახლდა პეტროსიან-კორჩნოის მატჩი. მეხუთე პარტია დაუმთავრებელი დარჩა. ანგარიში კვლავ თანაბარია — 2:2.

როტერდამში ლარსენი და პორტიში დღეს მეშვიდე პარტიაში ხვდებიან ერთმანეთს. ანგარიშია 4:2 პორტიშის სასარგებლოდ.

ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი

ბონი, 15 მარტი. (საკადეა). მსოფლიო ჩემპიონმა ჟადრაკში ანატოლი კარპოვმა რვა ტურში 6,5 ქულა მოაგროვა და კვლავ ლიდერობს დიდ საერთაშორისო შეჯიბრებას, რომელიც დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბად-დაუტერბერგში მიმდინარეობს. მეშვიდე ტურში მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა რობერტ ჰიუბნერთან (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), მერეში კი რაიმონდ კინთან (ინგლისი).

ა. კარპოვი უახლოეს მეტოქეებს ქულა-ნახევრით უსწრებს.

უკანასკნელი რეპეტიცია

ჰავანაში სასახლეში გაიმართა ამხანაგური მატჩი მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტ მაია ჩიბურდანიძისა და ძლიერ ოსტატ ა. ბანგიეევს (სევასტოპოლი) შორის. მიიასათვის ეს იყო უკანასკნელი „რეპეტიცია“ პრეტენდენტთა მატჩში ნანა ალექსანდრიასთან შეხვედრის წინ.

მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა. საბოლოოდ მინიმალური უპირატესობით 5,5:4,5 გაიმარჯვა ოსტატმა ვაჟმა.

ორიოდე სიტყვით

მშვილდოსნობა. მოსკოვში, „ოქტიაბრის“ სტადიონის მახეკში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომელიც ოთხ დღეს გრძელდებოდა. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს კვლავ ტოლი არ ყოფილა ჩიტელ სტუდენტს ლუბაკაევს დამირობდანოვას. მან გაიმარჯვა 25 და 18 მეტრიან დისტანციებზე — 573 და 570 ქულა. ეს შედეგები აღემატება მსოფლიო მიღწევებს. ვაჟთა შორის ამავე დისტანციებზე უძლიერესი იყვნენ ოდესელი იოსებ ფაინშტეინი (580 ქულა) და ულანუდელი ბორის ციბიკოვი (571 ქულა).

კალათბურთი. მეოცე გამარჯვება მოიპოვა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ლიდერმა ცსკა-მ. კიევში მან ანგარიშით 86:74 (38:34) სძლია ადგილობრივ „სტროიტელს“. კაუნასში „უალგირისმა“ წააგო მინსკის რტი-სთან — 92:96 (53:50).

გუშინ თბილისის „დინამომ“ ვილნიუსში ანგარიშით 86:84 დაამარცხა ადგილობრივი „სტატიბა“. ამ მატჩში დინამოელმა დერიუშინმა 37 ქულა შეაძინა თავის გუნდს. 17 მარტს თბილისელები კაუნასში შეხვდებიან „უალგირისს“.

ჰიდაობა. ულიანოვსკსა და ჩერკასკში დამთავრდა ფ. ძერჟინსკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირები ძიუდოში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, რომლებიც ახალგაზრდობის საკავშირო თამაშების პროგრამაშია შეტანილი. პირველი ადგილები მოიპოვეს ქართველმა ფალავნებმა მ. მერაბიშვილმა, თ. გაბოძემ, თ. მაისურაძემ (თავისუფალი სტილი) და დ. კორძაძემ (კლასიკური).

ი. ე. დოლიძე

ეკონომიკურ ბიულეტენი

გარდაიცვალა 1917 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **ილია ერასტის-ძე დოლიძე.**

ი. დოლიძე დაიბადა 1896 წელს მახარაძის რაიონის სოფ. ჯუმათში, ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი ახალგაზრდობაშივე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, შეფარული მუშაობა ყოფნის დროს ეწეოდა პოლიტიკურ აგიტაციას რევოლუციურად გაწყობილ ჯარისკაცებს შორის, ასრულებდა ანალიზგარულ პარტიულ დავალებებს, ავრცელებდა პროკლამაციებს და აქტიურად იბრძოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღიდანვე ი. დოლიძე აქტიურად მონაწილეობდა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ერთგულად ემსახურებოდა პარტიის ინტერესებს, იყო სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი.

1930-1945 წლებში ი. დოლიძე სოფელ ჯუმათის პარტიულ კომიტეტის მდივნად, ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა და მთელ თავის უნარსა და გამოცდილებას ხალხისადმი სამსახურს აძლევდა. დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლით.

ი. დოლიძე იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომისა და ბიუროს, რაისაბჭოს აღმასკომის წევრი.

სპეტაკი კომუნისტის, საუკეთესო ოჯახისა ქალის ილია დოლიძის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

მიწისძვრა თბილისში

თბილისში, 14 მარტს 23 საათზე, 43 წუთსა და 11 წამზე აღგილობრივი დროით ცენტრალური სეისმური ობსერვატორიის „თბილისის“ ხელსაწყოებმა აღნიშნეს 4 बალი სიძლიერის მიწისძვრა. ქალაქის სხვადასხვა რაიონში. ქალაქის ნაგებობანი და კომუნიკაციები არსად არ დაზიანებულა.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს კ. ცხომელიძეს სსრ კავშირის სეისმური დაკვირვების ერთიანი სისტემის „კავკასიის ზონალური ცენტრის ხელმძღვანელმა ვ. პაპალაშვილმა და ობსერვატორიის ერთ-ერთი ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ო. გოცაძემ აცნობეს, მიწისქვეშა ბიძგის ეპიცენტრი 79 კილომეტრზე იყო. რესპუბლიკის დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთით ჯავახეთის ქედის კალთებზეათ კილომეტრ სიღრმეზე, საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკის საზღვრის მახლობლად მთის კალთებზე მიწისძვრის სიძლიერე 6 बალი იყო.

ჯავახეთის მიწისძვრა საქართველოსა და სომხეთის ბევრ დასახლებულ პუნქტში იგრძნობოდა. მაგალითად, ბაკურიანში 4 बალი, დუშეთში კი 3 बალი. სომხეთის სტეფანავანის რაიონში მიწისქვეშა ბიძგის ძალამ 4-5 बალს მიაღწია, ლენინაკანში — 3-4 बალს.

ადგილის დეტალური გამოკვლევისათვის მიწისძვრის ეპიცენტრისაკენ უკვე გაეგზავნენ სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკისა და სეისმოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგთა ჯგუფი.

ეს მიწისძვრა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ლოკალური იყო და არავითარი კავშირი არ ჰქონდა დამანგრეველ მიწისძვრასთან, რომელიც 1977 წლის 4 მარტს მოხდა რუმინეთში.

ჯავახეთის ზეგნის რაიონში არცთუ იშვიათია მიწისქვეშა ბიძგები, თანაც საკმაოდ საგრძნობი. მაგალითად, 1940 წელს აქ მოხდა ცნობილი ტაბაწყურის მიწისძვრა, რომლის სიძლიერე 8 बალი იყო. 1959 წლის 8 დეკემბერს კი დაახლოებით იმავე რაიონში, სადაც ახლა, არანაკლებ მძლავრი — 7-8-बალიანი მიწისძვრა იყო. საქართველოს სეისმური სადგურების ხელსაწყოებმა მაშინ მხოლოდ ერთ თვეში ორი ათასზე მეტი სუსტი მიწისქვეშა ბიძგი აღნიშნა ამ რაიონში. გეოლოგები და გეოფიზიკოსები ამ ბუნებრივ მოვლენას საკმაოდ აქტიური ტექტონიკური პროცესებით ხსნიან, რომლებიც ახლაც მიმდინარეობს ჯავახეთის ზეგანზე. არცთუ შორეულ გეოლოგიურ ეპოქაში ამ რაიონში მიმდინარეობდა საკმაოდ მძლავრი ვულკანური პროცესები. როგორც ჩანს, ამ რაიონში მომხდარი ყველა მიწისძვრა ამ სტიქიური მოვლენების თავისებური გამოძახილია. (საქინფორმი).

რედაქტორი
დ. მეჯლიშვილი.

კომუნისტი — **ჩვენი მისამართი და ტელეფონები**

880096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-92-03, 99-03-09, ა/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, კოოპერ. განდას — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-23-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 07612

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14